# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 18 სექტემბერი. 2023 წ. №105 (9637) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


# მერკინეთუხუცესი!




საუდის არაბეთის ქალაქი რიადი – ეს ლეგენდარული ქართველი გოლიათის ლაშა ტალახაძის მეშვიდე პლანეტარული ტრიუმფის ადგილი გახლავთ.

კონტინენტის ამდენივეგზისა და ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მორიგ მიღწევას მყარი საფუძველი პირველ მოძრაობაში – ატაცშივე ჩაუყარა, როცა უახლოეს მდევრებს შესაბამისად 7 და 8-კილოგრამიანი უპირატესობით გაუსწრო – 220 კგ, ხოლო აკვრაში ბრწყინვალედ დაწყებული საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა – 253 კგ. და ორჭიდის ჯამში – 473 კგ...

შეგახსენებთ, რომ ჩვენი სიამაყე მსოფლიოს სამივე რეკორდს ფლობს: 225+267=492 კგ და გვწამს, რომ სანუკვარ 500-კილოგრამიან ზღვარს გაისად ოლიმპიურ პარიზში დაძლევს.

## ლია მელიქიშვილი სახელმწიფოსა და საზოგადოების ეთნიკური ურთიერთობების თვალსაჩინო მკვლევარი



5

ლია მელიქიშვილმა ადამიანისა და საზოგადოების მთლიანობაში შესწავლას ფართო გზა გაუკვალა და ქართული ეთნოლოგიური სკოლა ახალ მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა, ანუ ეთნოლოგიური საგნის არსი ახლებურად გადაიაზრა.

# ჩასაფრებული წკვარამია!!!



„ფეხბურთელი რომ წიგნს კითხულობს, ასეთ სიხარულს და აჟიოტაჟს რატომ იწვევს? ანუ ზოგადად იგულისხმება, რომ უტვინო და გაუნათლებელია ფეხბურთელი და კვარა წიგნით ვნახეთ და „ამას რას ვხედავთ" ამგავში გვიხარია? არა, არა..." – წერს ნიკა გვარამია.

* * *

მართლა ჩასვრილი არარაობა ხარ შენ, ჩასაფრებულო ქათამო! თავი დაანებე ხვიჩა კვარაცხელიას და შენს საბრალო შვილებს მიხედე, ასეთი ნაძირალა მამის ხელში რომ იზრდებიან!..



## „ქართლის ციხის ნაშალს, უცხო ჩრდილი მოსდგომია"...

### „რაც მტკიოდა, წინაპარო, ნეტავი თუ გამიგე?"



იხ. 6 გვ.

გელა ქოქიაშვილი: დავდიოდი არმაზციხეში (იგივე არმოზიკე და ბაგინეთ), არმაზისხევში, კარსნის ქედზე (მთაქართლი) და კიდევ მრავალგან, რათა თანამედროვეობას გავქცეოდი და შორეულ წინაპართა სახლში გადავბარგებულიყავი.

## იჭორავეთ, იჭორავეთ, ოპოზიციის ჭილყვავებო!

### კრიმინალური სინდრომი ოთარ ფარცხალაძისა, რომელიც მხოლოდ 47 დღე იყო საქართველოს მთავარი პროკურორი...

რა მასშტაბის პრობლემებს ავლენს ყოფილი მთავარი ბრალმდებლის დასანქცირება?

იხ. 4 გვ.




## ირაკლი ღარიბაშვილი:

### ჩვენ დავამტკიცეთ დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმა...



ამ დღეებში დავამტკიცეთ დეოლიგარქიზაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია 12 რეკომენდაციით.

ასევე ჩვენ პარტიასთან, პარლამენტთან ერთად შევთანხმდით, რომ მომავალ კვირაში ყველა ის პუნქტი, რომელზეც საუბარი გვქონდა ბატონ ბორელთან და მის გუნდთან, ევროკომისიასთან, ყველა ამ პუნქტზე ექნება ჩვენს გუნდს, მმართველ პარტიას, რეაგირება. პრემიერის თქმით, თვის ბოლომდე ყველაფერი იქნება გაკეთებული და მიზეზი აღარ იარსებებს, თუ რატომ არ უნდა მიიღოს სტატუსი ქვეყანამ...

# 4 ახალი ავტოკოლაფსის მოლოდინში



# პრემიერის განაცხადი გაეროს სესიაზე გამგზავრებამდე წინ!

# 2023 წლის ბიუჯეტი

## 500 მილიონი ლარით გაიზარდა!

„ჩვენ წლევანდელი ბიუჯეტი დავგეგმეთ საკმაოდ კონსერვატიულად, ეს იყო 5%-იან ზრდაზე გათვლილი, მაგრამ სწორედ ჩვენი პოლიტიკის შედეგად და მაღალი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, ჩვენ ვაკორექტირებთ ბიუჯეტს, შეგვაქვს ცვლილებები, 500 მილიონი ლარით გაიზრდება წლევანდელი ბიუჯეტი.

ამის თაობაზე ბატონი ფინანსთა მინისტრი მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის საზოგადოებას, თუ როგორ გადანაწილდება აღნიშნული 500 მილიონი. აქვე მინდა შევახსენო ყველას, რომ უკვე მესამე წელია ჩვენ დაგეგმილ ბიუჯეტს ვცვლით და ვზრდით. 2021-ში ასე მოხდა, ჩვენ ორჯერ გავზარდეთ ბიუჯეტი, ასევე შარშან – 2022 წელს და ასევე წელს, 500 მილიონი ლარით იზრდება ბიუჯეტი. ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამების დაფინანსება მოვახერხეთ ბოლო წლებში, იგივე, რაც მე ჩამოვთვალე, სკოლების რეაბილიტაციის პროგრამა. რა თქმა უნდა, ამას ვერ შეძლებდა სახელმწიფო, 880 სკოლა, 1000-ზე მეტი ბაღი, სოციალური დახმარებები გავზარდეთ, თითოეულ სოციალურად დაუცველ ადამიანზე 200 ლარის ოდენობით გაიცემა დახმარება, ეს არის წელიწადში 500 მილიონ ლარზე მეტი, ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი. ხელფასები გავუზარდეთ პოლიციელებს, ჯარისკაცებს, ყველა საჯარო მოხელეს. პოლიციელებს და ჯარისკაცებს 40%-ით გაეზარდათ ჯამში ხელფასები. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, გაგრძელდება, იანვარში კიდევ გაეზრდება ყველა საჯარო მოხელეს ხელფასი. ჯამში პოლიციას და ჯარს გამოუვა 50%-იანი ზრდა ბოლო სამ წელიწადში და საჯარო მოხელეებს 30%-იანი ზრდა.

ჩვენ ასევე დავაფინანსებთ სხვა მნიშვნელოვან პროექტებს, რომელიც აქტიური ტემპებით მიმდინარეობს. იქნება ეს ინფრასტრუქტურა, სოციალური მიმართულება თუ ჯანდაცვა. იგივე გაზრდილი ბიუჯეტიდან დაფინანსდება ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვები, რომლებიც გაიგზავნებიან უცხოეთში, უმაღლესი დონის კლინიკებში. უკვე დაწყებულია პროცესი და ამას მინისტრი აკონტროლებს და ხელმძღვანელობს. ბიუჯეტიდან დამატებით თანხებს მივმართავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართულებით, განათლების მიმართულებით, ეკონომიკის, ჯარის მიმართულებით. ჩვენ დაკორექტირებულ ბიუჯეტს წარვუდგენთ პარლამენტს. ჩვენ უკვე დაწყებული გვაქვს ახალ, 2024 წლის ბიუჯეტზე. ამის თაობაზე მოგვიანებით მოგახსენებთ. უკვე მქონდა რამდენიმე შეხვედრა ფინანსთა მინისტრთან და მის გუნდთან, ასევე – ეკონომიკური საბჭოს ფორმატშიც განვიხილეთ ბიუჯეტის პირველი ვერსია და თვის ბოლოს, დაახლოებით 29 სექტემბერს წარვუდგენთ პარლამენტს. გვექნება საინტერესო სიახლეები, მაგრამ ეს არ იქნება საბოლოო ვერსია, ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას და ოქტომბერში წარვუდგენთ განახლებულ ვერსიას პარლამენტს და ნოემბერში უკვე მესამე ვერსიას...

როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა მთავრობის ვალი არის შემცირებული. „მინდა შევახსენო ყველას, 2 წლის წინ მთავრობის ვალი 60%-ზე მეტს შეადგენდა მშპ-თან მიმართებით, დღეს კი, თითქმის 38%-ზე არის ჩამოსული მთავრობის ვალი.

ასევე მინდა ვთქვა, რომ, რაც სასიხარულოა, ბოლო 10 წელიწადში, ჩვენ გუშინ გვქონდა სამუშაო შეხვედრა და ბოლო 10 წელიწადში ჩვენი მოქალაქეების დეპოზიტები, რომელიც განთავსებულია კომერციულ ბანკებში, თითქმის გაათმაგებულია. მე ამასწინათ დავაანონსე, ვთქვი ამის თაობაზე, მოგაწოდეთ ინფორმაცია, გაათმაგებულია და სულ სხვა ეკონომიკა არის წელს, ვიდრე იყო 10 წლის წინ. კომერციული ბანკების აქტივები, შედარებისთვის მინდა გითხრათ, რომ თითქმის 14 მლრდ ლარი იყო 2012 წელს და დღეს არის 70 მილიარდზე მეტი. 70 მილიარდი, ეს, რა თქმა უნდა, სულ სხვა ეკონომიკაა, საერთოდ სხვა მოცემულობაა. ამიტომ არის, რომ იგივე დეპოზიტები ვახსენე, თუ იყო 2 და 3 მილიარდი 2012 წელს, ახლა არის 22 მილიარდი დოლარში; ლარში, ჯამურად, 48 მილიარდი. ეს არის შედეგი ჩვენი გუნდის, ჩვენი მმართველი პარტიის დაწყებული პოლიტიკის, რამაც ეს კონკრეტული, ხელშესახები შედეგები მოიტანა. ეს არის მშვიდობის და სტაბილურობის ნაყოფი. სხვა შემთხვევაში, ბუნებრივია, ჩვენთან, კიდევ ვიმეორებ, არავითარ ეკონომიკურ ზრდაზე საუბარი არ და ვერ იქნებოდა. მე მახსოვს, კიდევ შევახსენებ ყველას, რომ დეფოლტზე იყო საუბარი 3 წლის წინ, როდესაც ჩვენს მთავრობაში მოხდა ცვლილებები და ასეთი მდგომარეობა გვაქვს დღეს.

ყველაფერი იქნება ძალიან კარგად“, – განაცხადა პრემიერმა.

**მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური**



### მეუფე შიო:

# სიყვარული არის რელიგიური მცნებების სული და გული!

**სიყვარული არის რელიგიური მცნებების სული და გული... სიყვარული არის სასიცოცხლო საწყისი ჩვენი რელიგიური ზნეობის, ჩვენი რელიგიური ცხოვრების, ღმერთთან ერთად... იმისთვის, რომ მოვიპოვოთ ასეთი სიყვარული, საჭიროა, ვიქონიოთ დიდი სიმდაბლე... მხოლოდ სიმდაბლის ღვაწლის აღებით იხსნება ჩვენში დიდი სულიერი ძალები. სიყვარულს მოაქვს სიხარული და ბედნიერება..** – ამის შესახებ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიო (მუჯირმა ) ქადაგებისას განაცხადა.

**„ძვირფასო ძმებო და დებო, გილოცავთ დღევანდელ კვირა დღეს, გადმოგცემთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევას.**

**დღეს წაკითხული იყო სახარებისეული ეპიზოდი, სადაც მოთხრობილია, რომ უფალ იესო ქრისტესთან მისი გამოცდის მიზნით მიდის რჯულის მცოდნე ადამიანი და ეკითხება: „მოძღვარო, რომელია რჯულში მთავარი მცნება?“ უფალი მიუგებს: „გიყვარდეს ღმერთი მთელი შენი სულით, მთელი შენი გულით, მთელი შენი გონებით. ეს არის პირველი და უმთავრესი მცნება. და მეორე ამის მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი. აი, ამ ორ მცნებაზე დამოკიდებულია რჯული და წინასწარმეტყველნი“,** – დასძენს უფალი იესო ქრისტე ამ საუბარში. და მართლაც, მთელი რჯული ამ სიყვარულის მცნებაზეა დაფუძნებული, მთელი წმინდა გარდამოცემა.

# სტრასბურგის სასამართლოში

## ნონა მამულაშვილმა და ნონა წოწორიამ ფალსიფიცირებული დოკუმენტი წარადგინეს

წინა ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსნის მეგის ქარდავას მიერ გაყალბებული დოკუმენტების თაობაზე აქვეყნებს პოსტს სოციალურ ქსელში „ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი**.

**„ორი წლის წინ საქართველოში ჩამოიყვანეს სააკაშვილის რეჟიმის მთავარი „გამქათმებელი“ და „ექსკლუზიური სისასტიკეების“ არქიტექტორი, „ღირსების ორდენის“ კავალერი მეგის ქარდავა. სწორედ მას უწოდა გუშინ სოსო თოფურიძემ: „ჩემო ძმაო და პოლიტპატიმარო, მალე გაგათავისუფლებო“.**




**მაგრამ, დღეს ესეც „იქით“ იყოს. იმ საბუთს შემოგთავაზებთ (სამწუხაროდ, ხარისხზე ბოდიშს გიხდით), რომელიც სააკაშვილის პირადი ბრძანებით გააყალბა უკრაინაში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობამ - თითქოსდა მეგის ქარდავა სარგებლობდა უკრაინაში პოლიტიკური ნიშნით დევნილის სტატუსით. სწორედ ეს ფალსიფიცირებული დოკუმენტი წარადგინეს სტრასბურგის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლოს კანცელარიაში ნონა მამულაშვილმა და ნონა წოწორიამ (ასევე სააკაშვილის ბრძანებით).**

**რომ არა უკრაინის საიმიგრაციო სამსახურის ყოფილი უფროსის მაქსიმ სოკოლიუკის ოფიციალური დოკუმენტი, რომ მეგის ქარდავას განცხადება ლტოლვილის სტატუსზე არ იქნა დაკმაყოფილებული უკრაინის სასამართლოს სამივე ინსტანციაში, ეს საერთაშორისო კრიმინალები და თაღლითები, წინასწარი განზრახვით სტრასბურგის სასამართლოსაც შეიყვანდნენ შეცდომაში,“** – წერს ქართველიშვილი.

ანალიტიკოსი იმაზეც საუბრობს, თუ როგორ დასაჯა ამ ქმედებისათვის სააკაშვილმა მაქსიმ სოკოლიუკი.

**„მაქსიმ სოკოლიუკზე სააკაშვილმა იყარა ჯავრი, იმ დღეს, როდესაც ის კონტრაბანდულად უკვე არაჟნის ყუთებში იყო ჩალაგებული. 2021 წლის 29 სექტემბერს მაქსიმ სოკოლიუკი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს.**

**ხოლო საერთაშორისო თაღლითობის არც ერთი ფიგურანტის მიერ, სტრასბურგის მართლმსაჯულების ორგანოების მიერ, არ გადადგმულა არც ერთი სამართლებრივი ნაბიჯი“,** – წერს დავით ქართველიშვილი.

# ქართველების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქვეყანას ევროკავშირთან კარგი ურთიერთობა აქვს

# „თუ გინდა გჯეროდეს, უნდა დაიჯერო“!

**ბოლო გამოკითხვის თანახმად, ქართველების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქვეყანას ევროკავშირთან კარგი ურთიერთობა აქვს,** – ამის შესახებ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონული საკომუნიკაციო პროგრამის „ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო“ (EU NEIGHBOURS east) ფარგლებში შექმნილი ვებგვერდი წერს.

EU NEIGHBOURS east-ის თანახმად, 2023 წლის საზოგადოებრივი აზრის ყოველწლიური კვლევით, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა (84%) თვლის, რომ ქვეყანას ევროკავშირთან კარგი ურთიერთობა აქვს.

**„ეს მაჩვენებელი ცხრა პუნქტით არის გაზრდილი 2016 წელთან შედარებით, როდესაც გამოკითხვა პირველად ჩატარდა. გარდა ამისა, მკვეთრად არის გაზრდილი ინფორმირებულობა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ. კერძოდ, წელს ეს მაჩვენებელი 82%-ს უტოლდება – 2016 წლის 60%-თან შედარებით.**

**ევროკავშირი კვლავ რჩება ქართველებისთვის ყველაზე სანდო საერთაშორისო ინსტიტუტად. კერძოდ, მას ენდობა გამოკითხულთა 78% (ეს მაჩვენებელი 2016 წლის შემდეგ 12%-ით არის გაზრდილი). საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას (54%) დადებითი წარმოდგენა აქვს ევროკავშირზე. მაშინ, როცა გამოკითხულთა 82% ინფორმირებულია ევროკავშირის ფინანსური**

# ბილწი მიჟას და მისი მეასე საყვარლის ვოიაჟი კოლუმბიაში, ცნობილი ნარკო-ბარონის პაბლო ესკობარის საფლავის მოსანახულებლად, ბიუჯეტმა დააფინანსა!

**საბოლოოდ გადაწყდა: თავდაცვის სამინისტრომ მიხეილ სააკაშვილის საჰაერო ხომალდებით მგზავრობასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებების გასაიდუმლოების პროცესი დაიწყოს. მოცემული გასაიდუმლოება შეეხება 2010, 2011 და 2012 წლებში თავდაცვის სამინისტროსა და შპს „ჯორჯიან ეარვეისს“ შორის დადებულ ხელშეკრულებებს.**

**აღსანიშნავია, რომ მინისტრის 2012 წლის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, უკვე გასაიდუმლოებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შპს „ჯორჯიან ეარვეისთან“ გაფორმებული ორი ხელშეკრულება. მხოლოდ აღნიშნული ხელშეკრულებების მომსახურების მიზნით, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან 14 მილიონ ლარამდეა გადახდილი“,** – აღნიშნულია განცხადებაში.

როგორც ცნობილია, საქართველოს ექს-პრეზიდენტი მეგობარ ქალბატონთან ერთად იმყოფებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კურორტებზე, მათ შორის კოლუმბიაში და რაც საინტერესოა იმყოფებოდა ცნობილი ნარკობარონის, **პაბლო ესკობარის** საფლავზე. სააკაშვილის ეს ვიზიტიც, ისევე როგორც სხვა ვიზიტები, დაფინანსებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან. თავად მსჯავრდებული სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ სკანდალურ ვიზიტებთან დაკავშირებით დუმილს არჩევენ, თუმცა დუმილის მიუხედავად, ცნობილია, რომ სააკაშვილს უახლოეს მომავალში ახალ ბრალს წაუყენებენ.




**საქართველოს ექს-პრეზიდენტი მეგობარ ქალბატონთან ერთად იმყოფებოდა მსოფლიოს სხვადასხვა კურორტებზე, მათ შორის კოლუმბიაში და რაც საინტერესოა იმყოფებოდა ცნობილი ნარკობარონის, პაბლო ესკობარის საფლავზე. სააკაშვილის ეს ვიზიტიც, ისევე როგორც სხვა ვიზიტები, დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან.**



მიხეილ ესკობარი



თავდაცვის მინისტრის განცხადებით, სააკაშვილის ჩარტერული რეისების დაფინანსებასთან დაკავშირებით, თავდაცვის უწყებაში შესაბამისი კომისია შეიკრიბა და დოკუმენტების გასაჯაროების გადაწყვეტილება მიიღო.

**„ის, რომ პრეზიდენტის ჩარტერები თავდაცვის უწყებიდან ფინანსდებოდა, მინიჭებული ჰქონდა გრიფით „საიდუმლო“ სტატუსი, ვინ იყვნენ თანმხლები პირები, რა ლოკაციებზე იყო ფრენები განხორციელებული – ეს ყველაფერი კომპლექსურად დიდ ეჭვს იწვევს. შესაბამისი დანაყოფი, პარალელურად, მოკვლევით სამუშაოებს აწარმოებს და პროკურატურასთან ერთად იქნება მიღებული გადაწყვეტილება, როგორ წარიმართება საქმე. საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ყველა დეტალი ეტაპობრივად გახდება საჯარო“,** – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა, **ჯუანშერ ბურჭულაძემ.**

„ქართული ოცნების“ დეპუტატი **გია ცაგარეიშვილი** მიმართავს ჟურნალისტებს, რომ სააკაშვილის ფანკლუბის წევრებისგან მიიღონ პასუხი კითხვაზე – რა უნდოდა საქართველოს ექს-პრეზიდენტს 20 ათას კილომეტრზე პაბლო ესკობარის საფლავთან? მისივე თქმით, ამ წარმოუდგენელ მასკარადში, ვოიაჟებში, გაუგებარ ვიზიტებში, რომელიც თურმე ქვეყნის აღმშენებლობას ემსახურებოდა, იხარჯებოდა საქართველოს გადამხდელების მილიონობით ლარი.

**„ბუნებრივია, გრიფი „საიდუმლო“ უნდა მოეხსნას და საქართველოს მოქალაქეებმა გაიგონ ვინ, სად დადიოდა და ხარჯავდა საბიუჯეტო სახსრებს. დანაშაული ჩადენილია, უნდა გამოვლინდნენ დამნაშავეები და პასუხისგებაში მიეცნენ. როცა საუბრობთ ღარიბაშვილების ოჯახის მიერ გაწეულ კერძო ხარჯზე, აქ, რა თქმა უნდა, ოპონენტი ლოგიკურად აუცილებლად დასვამს ამ კითხვას, აგერ, ადამიანი, რომელიც მართალია, სხვა დანაშაულზე სასჯელს იხდის, ბრალი აქვს წარდგენილი 8 მილიონის მასაჟისტების, მანიაკ მკერდმოშიშვლებული მხატვრებისა და მკბენარა მასაჟისტების აქ ჩამოთრევაში. არ მახსოვს, ვინმეს კითხვა დაესვას, რა უნდოდა ავღანეთში რომ ჩავიდა, შემდეგ დუბაიში, ან უგულავას მასთან ერთად სპა კურორტზე იტალიასა და შვეიცარიაში? რატომ? მისი წონის კლება საქართველოს პრობლემა იყო? რატომ არასდროს დაგისვამთ ეს კითხვა?“,** – აღშფოთებულია **გიორგი ცაგარეიშვილი!**

„მოქალაქეების“ თავმჯდომარე **ალეკო ელისაშვილი** აცხადებს, რომ თავდაცვის სამინისტრომ 11 წლის თავზე გაიღვიძა, დაამთქნარა და აღმოაჩინა, რომ თურმე სააკაშვილის მხრიდან უკანონო ხარჯები ყოფილა, სერიოზული აღარ არის. ელისაშვილი თვლის, რომ გამოძიება უნდა დაიწყოს როგორც ამ საქმეზე, ისე ღარიბაშვილის კერძო ვოიაჟზე.

**„აქამდე ეძინათ და არ იცოდნენ, რომ 14 მილიონი იყო გაფლანგული?! ის, რომ მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო რესურსს „საგულაოდ“ იყენებდა და ქალებს და არა მხოლოდ ქალებს საკუთარი სიამოვნებისთვის დაატარებდა, ყველამ ვიცით. სააკაშვილი ფადი შაჰივით რომ იქცეოდა, იმიტომაც ვაკრიტიკებდი და ამიტომაც გულს მირევდა სახელმწიფოს რესურსების მიმართ მისი დამოკიდებულება“.**

გამოძიების დაწყებას ითხოვენ ანალიტიკოსები. ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** ფიქრობს, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ საკმაოდ დააგვიანა, რადგან ამ გრიფის ახსნის საფუძველი ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა, როდესაც პირველი სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს ექს-პრეზიდენტის წინააღმდეგ.

**„დაგვიანებულია, თუმცა, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. რაც შეეხება გრიფის ახსნას, უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია, მათ შორის საზოგადოების გარკვეული ნაწილის მონაწილეობით, რომლებიც ამ ყველაფერს არ გამოიყენებენ სხვა მიზნებისათვის. კომისია შეისწავლის ამ ვიზიტების ნაირსახეობას და აღმოჩნდება, რომ ვიზიტი არ ემსახურებოდა და არ იყო საქართველოს ეროვნული ინტერესების შესაბამისი.**

**აუცილებლად არა თუ გასაჯაროვდეს, არამედ უნდა დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა. თუ ჩვენ არ მივეჩვიეთ იმას, რომ სახელმწიფოს თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზე ადამიანებმა პასუხი არ აგეს, ასეთ შემთხვევაში, ყველა იერარქიაზე მივიღებთ ვითარებას, რომელსაც კორუფციის ინსპირირება შეუძლია და რაღაც ისეთის კეთება, რომელიც საბოლოო ჯამში, დააზიანებს ქვეყნის ინტერესებს და ქვეყანა გახდება ძალიან მაღალი დონის მოწყვლადი კორუფციისათვის“,** – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **დავით კუხალაშვილი.**

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ამბობს, რომ გამოძიების ხელთ გაცილებით მეტი საქმეა, ვიდრე წარმოდგენილია საჯაროდ. მისი თქმით, სააკაშვილს ბევრად მეტი აქვს მოპარული, ვიდრე წარდგენილი აქვს ბრალი – 9 მილიონზე.

**„ახლა გამოაშკარავდა, რომ 40 მილიონამდე გაფლანგვა აქვს თავდაცვის სამინისტროს ხარჯებიდან. კიდევ მეტი საქმეები აღმოჩნდება და მე ვფიქრობ, რომ არა მარტო მილიონებზე იქნება გამოძიება, მალე გადავა მილიარდებში, რომელიც მას მოპარული აქვს საქართველოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მითხარით, საიდან გახდა დედამისი მილიონერი, რომელსაც არც მეტი, არც ნაკლები, დაუსაბუთებელი ქონება აქვს 135 მილიონი დოლარი. საიდან? როგორ ჩაიგდო ხელში დედამისმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსები?**

**2008 წლის აგვისტოს ომის დროს ერთ ლარად როგორ ჩაიგდო ხელში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კუთვნილი სტადიონი? უზარმაზარი ტერიტორიები? ეს ხალხი კიდევ ბედავს და პოლიტიკაში უნდა დაბრუნება და კიდევ რაღაცებზე აქვთ პრეტენზიები. ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში გარე სახელმწიფოები უშნოდ აფათურებენ ხელს, რაც აუცილებლად უნდა დასრულდეს, თორემ კარგს არაფერს არ მოიტანს“,** – აღნიშნა **ედიშერ გვენეტაძემ.**

**თამთა ქარჩავა**

**მხარდაჭერის შესახებ, ამასთან, 46% ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის სფეროებში მეტ მხარდაჭერას მიესალმება“...**

**საქართველოში კვლევის მთავარი მიგნებებია:**

**ევროკავშირი კვლავ რჩება ქართველებისთვის ყველაზე სანდო საერთაშორისო ინსტიტუტად (78%); საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დადებად აფასებს ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობას (84%); გამოკითხულთა 82% ინფორმირებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის შესახებ და ევროკავშირს ერთ-ერთ მთავარ ფინანსურ კონტრიბუტორად მიიჩნევს; საქართველოს ევროკავშირში გაწევრების შესახებ რეფერენდუმი რომ ჩატარებულიყო (კვლევის ჩატარების დროს, 2023 წლის თებერვალი), მოქალაქეთა უმრავლესობა გაწევრიანებას მხარს დაუჭერდა (74%); მედია საშუალებებში ევროკავშირი წარმოდგენილია დადებით (53%) ან ნეიტრალურ (32%) ჭრილში; ეკონომიკური განვითარება და ვაჭრობა (46%), განათლება (40%) და უსაფრთხოება (47%) ის სფეროებია, სადაც უფრო მეტი მხარდაჭერა მისასალმებელი იქნებოდა.**

**რაც შეეხება კვლევას, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილმა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს პროგრამამ ჩაატარა 2023 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევა აღმოსავლეთ სამეზობლოს ექვს ქვეყანაში – სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. ეს უახლესი გამოკითხვა 2023 წლის თებერვალში მთელი ქვეყნის მასშტაბით შერჩეულ 1,000 რესპონდენტთან პირისპირ ინტერვიუების საშუალებით შედგა. ყოველწლიური საზოგადოებრივი აზრის კვლევა 2016 წლიდან მოყოლებული უკვე მერვე წელია ტარდება. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კვლევის შედეგები ეროვნულ ანგარიშებშია წარმოდგენილი.**

კვლევის შესახებ ინფორმაციას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ავრცელებს.

# რა მასშტაბის პრობლემებს ავლენს ყოფილი მთავარი ბრალმდებლის დასანქცირება?




# კრიმინალური სინდრომი ოთარ ფარცხალაძისა, რომელიც მხოლოდ 47 დღე იყო საქართველოს მთავარი პროკურორი...

ეს ალბათ, მხოლოდ აისბერგის წვერია, ასე ეხმიანება **„აქცენტთან“** უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი **გესო ალადაშვილი** საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორის **ოთარ ფარცხალაძის** აშშ-გან დასანქცირებას, რომელსაც სახელმწიფო დეპარტამენტი ქართველ-რუს ოლიგარქად მოიხსენიებს.

**„რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოში ათწლეულებია, მუშაობენ სხვადასხვა თანამდებობის, სოციალური ფენის, ასაკის ადამიანებთან, შემდეგ უყურებენ მათ პერსპექტივას, ზოგიერთს თავად უწყობენ ხელს წინსვლაში – მათ ზოგადად გავლენის აგენტები ჰქვიათ. რაც სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, ცხადია, ეს შეერთებული შტატების სპეცსამსახურების ხელთ არსებული ინფორმაციის ძალიან მცირე ნაწილია და ვფიქრობ, არც შემთხვევითი იყო – არ გამოვრიცხავ, მომავალში კიდევ უფრო სკანდალური ინფორმაციის გაჟონვას ან სანქციებს. როგორც ჩანს, აშშ, რბილად რომ ვთქვათ, ქართველი საზოგადოების ინფორმირებას ისახავს მიზნად – ანუ, ვინ ვინ არის. ამერიკის სპეცსამსახურები ტყუილად არ არსებობენ და მათ გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე ჩვენს პოლიტიკოსებს ჰგონიათ“**, – ამბობს **ალადაშვილი.**

საქართველოში, მათ შორის ე.წ. მეგობრული კავშირებიც ბევრ რამეს წყვეტს და რა სახის ინფორმაციის გაჟონვას შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი, ალადაშვილის ხედვით, რთული სათქმელია, მით უფრო რომ „გადაბირებულ“ რიგით ბიზნესმენსაც კი შეეძლო ქვეყნისთვის სერიოზული ზიანის მოტანა:

**„კონტრდაზვერვითი საქმიანობის ამოცანაა, გაანეიტრალოს მტრული გავლენა. ბოლო თვეებია, დასავლეთ ევროპაში და აღმოსავლეთის ქვეყნებშიც რუსული ღრმა დაშიფვრაში მყოფი აგენტურა გამოავლინეს. ესენი იყვნენ ბიზნესმენები გერმანიის, შვედეთის, ბრიტანეთის თუ ამერიკის მოქალაქეები. საინტერესოა, რომ ისინი ასე ვთქვათ, სხვადასხვა ქვეყნის დროშითაც მოქმედებდნენ. ჩვენთან, საქართველოში ბიზნესმენის, მით უმეტეს, შეძლებულის, გავლენის სფეროები სწრაფად ფართოვდება, რადგან პატარა ქვეყანა ვართ. რიგით ბიზნესმენსაც, თუ ის უცხო ქვეყნის აგენტურის მიერ არის გადაბირებული, უამრავი ზიანის მოყენება შეუძლია. ახლა ამას შეადარეთ ის გავლენები, რაც რეალურად ჰქონდა ფარცხალაძეს თავისი წარსულიდან გამომდინარე“.**

ალადაშვილი უშვებს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არ იყო ინფორმირებული ფარცხალაძის შესაძლო საქმიანობის შესახებ სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე და ფიქრობს, რომ ახლა სუს-ის მთავარი ამოცანაა, დაადგინოს:

- **არსებობდა თუ არა რეალურად რუს სპეცსამსახურებთან კავშირი;**
- **როგორია ზიანის მასშტაბი?!**

ამავდროულად, ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩება, ჰქონდა თუ არა ამერიკულ მხარეს ქართულთან კომუნიკაცია ფარცხალაძის თაობაზე ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებამდე? თუ კი, რა რეაგირება ჰქონდა საქართველოს? თუ არა, რატომ? არის ეს კავშირში ნდობის დეფიციტთან? სუს-მა 15 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც ყოფილი მთავარი პროკურორის დასანქცირების შესახებ გახდა ცნობილი, განაცხადა, რომ საკითხის ირგვლივ მოკვლევა დაიწყო. ალადაშვილს ამ მიმართულებით გადაჭრით საუბარი უჭირს და არც თუ შორეული წარსულიდან საინტერესო ეპიზოდს იხსენებს:

**„ბოლო პერიოდია, ურთიერთობები მცირდება საელჩოსთან და ოფიციალურ სტრუქტურებთანაც და არ გამოვრიცხავ, რომ მცირდება ნდობის ხარისხიც. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ (საუბარია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პერიოდზე) ერთ-ერთ საელჩოში მიღებაზე ერთ-ერთი ამერიკელი დიპლომატი გამესაუბრა. იცით რომ მსგავს მიღებებზე არაოფიციალური გარემოა. მას ჰქონდა ჩემი საქმიანობის სფეროზე ინფორმაცია და ხუმრობით დამისვა კითხვა: „თქვენს სპეცსამსახურებში რუსეთის ამდენი ხალხი, აგენტურა რომ არის (კონკრეტული გვარებიც მითხრა), თქვენ იცითო ხომ?“. შევარდნაძის, ენმ-ის და დაახლოებით 2016-2017 წლებამდე „ქართული ოცნების პერიოდშიც, ჩვენი სტრატეგიული ურთიერთობებიდან გამომდინარე ამგვარი პრაქტიკა იყო, რომ მით უმეტეს სპეცსამსახურებში როდესაც ინიშნებოდნენ ადამიანები მაღალ თანამდებობებზე, გარკვეული ინფორმირება ხდებოდა პარტნიორების. სანდოობის კუთხით ყოველთვის მნიშვნელოვანია, ვინ ინიშნება, რა წარსული აქვს – პარტნიორები ყოველთვის შიშობენ, რომ არ მოხდეს სტრატეგიული თუ ტაქტიკური ინფორმაციის გაჟონვა. ვუპასუხე, „თქვენ ხომ ჩართული ხართ და იცით, ვინ ვინ არის და თუ რუსეთის კაცია, მაშ რატომ მუშაობს იქ?!“. მაგრამ ინფორმაციის გაცვლა თანდათან სუსტდებოდა“.**

* * *

ოთარ ფარცხალაძის დასანქცირების შესახებ 14 სექტემბერს გახდა ცნობილი. როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტშია ნათქვამი, „ქართველ-რუს ოლიგარქ ოთარ ფარცხალაძეს სანქციები უწესდება რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის, მენეჯმენტის საკონსულტაციო სექტორში მუშაობისთვის ან საქმიანობისთვის“. მასში, აღნიშნულია, რომ იგი ფლობს საკონსულტაციო კომპანიებში შპს MOSCOW BUSINESS BROKERAGE-სა და შპს INTERNATIONAL BUSINESS CORPORATION-ში 50%-იან წილს ალექსანდრ ონიშჩენკოსთან ერთად.

**„ონიშჩენკო რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ოფიცერია. ონიშჩენკომ და უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა გამოიყენეს ფარცხალაძე ერთგვარ ბერკეტად, საქართველოს საზოგადოებასა და პოლიტიკაზე რუსეთის სასარგებლოდ ზეგავლენისთვის. გავრცელებული ინფორმაციით, ფარცხალაძემ პირადად ისარგებლა მისი კავშირიდან „ეფესბესთან“**, – ნათქვამია დოკუმენტში.იუწყებიან, რომ ფარცხალაძეს ონიშჩენკო დაეხმარა რუსული პასპორტის მიღებაში.

ოთარ ფარცხალაძემ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნისას, 2013 წელს დაიკავა მთავარი პროკურორის პოსტი. ფარცხალაძის კანდიდატურა მთავარი პროკურორის პოსტზე 2013 წლის ნოემბერში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს იმდროინდელმა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა წარუდგინა. მან ამ თანამდებობაზე ყოფნა მხოლოდ 47 დღის განმავლობაში შეძლო. ოპოზიციამ გაასაჯაროვა ცნობები, რომლის მიხედვითაც, ფარცხალაძე 2000-იანი წლების დასაწყისში ბოტასის ქურდობისთვის იყო გასამართლებული. მანამდე სკანდალი აგორდა ფარცხალაძის განათლებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ირგვლივ.

ნასამართლეობის ფაქტი ფარცხალაძემაც დაადასტურა, თუმცა მან თქვა, რომ გერმანიის მართლმსაჯულება არა ქურდობას, არამედ პოლიციისადმი წინააღმდეგობის გაწევას ედავებოდა. ამ სკანდალის შემდეგ ფარცხალაძემ თანამდებობა დატოვა და ოფიციალური ცნობებით, ბიზნესსაქმიანობა დაიწყო.

მისი გვარი ფიგურირებს ყოფილი მთავარი აუდიტორის ლაშა თორდიას მიტყეპვის ეპიზოდშიც. ასევე, ოთარ ფარცხალაძის კომპანიისთვის ქონების არამართლზომიერად გადაცემის ფაქტებზე გამოძიება უნდა დაიწყოს.

## ოთარ ფარცხალაძე: ამერიკული „ვარაუდები“ მხოლოდ ცილისწამებაა!

**ჩემ წინააღმდეგ დაწესებული სანქციები კონკრეტული ადამიანების ინსპირირებულია და ათწლიანი დისკრედიტაციის კამპანიის დაგვირგვინებაა, – ამის შესახებ საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე აცხადებს.**

**როგორც ფარცხალაძე „რუსთავი 2“-სთვის გამოგზავნილ წერილში აღნიშნავს, ყველამ, ვინც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება წაიკითხა, ნათლად დაინახა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მხოლოდ ვარაუდებზე დაყრდნობით არის მიღებული.**

**„ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ უკვე 10 წელია, არათუ საჯარო სამსახურში თანამდებობას არ ვიკავებ, არამედ სახელმწიფო ინსტიტუტებთან არანაირი კავშირი არ მაქვს. მიუხედავად ამისა, „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მის პროპაგანდისტულ მედიას, ჩემ წინააღმდეგ ტალახის სროლა და მიზანმიმართული დისკრედიტაციის მცდელობები, მთელი ამ დროის განმავლობაში ერთი წამითაც არ შეუწყვეტია.**

**შეგახსენებთ, რომ სწორედ ცილისწამებისა და ჩემ მიმართ ტყუილების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, სამჯერ მაქვს მოგებული სასამართლო. მიუხედავად ამისა, ამ ადამიანებს ერთი წამით არ უთქვამთ უარი ჩემ წინააღმდეგ აგორებული ბინძური კამპანიის შეწყვეტაზე, თანაც ეს იმ ფონზე, როდესაც არც ერთი ფაქტი არ წარმოუდგენიათ იმ მოგონილი ბრალდებების დასადასტურებლად, რომელსაც ავრცელებდნენ.**

**სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩემ წინააღმდეგ დაწესებული სანქციები კონკრეტული ადამიანების ინსპირირებულია და ამ ათწლიანი დისკრედიტაციის კამპანიის დაგვირგვინებაა. მეორე მხრივ, ადგილობრივ დონეზე კონკრეტული პოლიტიკური ინტერესების მქონე სუბიექტების რეაქციებმა დამარწმუნა, რომ აქტიურად ცდილობენ ჩემი სახელის სახელმწიფო ინსტიტუტებთან ან ხელისუფლებასთან დაკავშირებას, რასაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვაცხადებ, არანაირი საფუძველი არ აქვს, ხოლო რას ემსახურება აღნიშნული მცდელობები, დარწმუნებული ვარ, ქართველი საზოგადოება ყველაზე უკეთ ხვდება.**

**რა თქმა უნდა, ჩემ ხელთ არსებულ ყველა სამართლებრივ და იურიდიულ შესაძლებლობას გამოვიყენებ, რათა დავამტკიცო, რომ ჩემ წინააღმდეგ უსამართლო სანქციების დაწესების გადაწყვეტილება, არა ფაქტებზე, არამედ კონკრეტული ინტერესების მქონე სუბიექტების ცილისმწამებლურ კამპანიაზეა დაფუძნებული“, – აცხადებს ოთარ ფარცხალაძე.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, თვალსაჩინო მეცნიერს, ეთნოლოგს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ლია მელიქიშვილს დაბადების 80 წელი შეუსრულდა.**

ლია მელიქიშვილი დაიბადა 1943 წლის 17 მარტს ქ. თბილისში. 1950 წელს შევიდა თბილისის მე-2 ქალთა საშუალო (შემდგომში თბილისის 42) სკოლაში. 1960 წელს სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. ლია მელიქიშვილი 1965-2006 წწ. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ლაბორანტი, უმცროსი, უფროსი, წამყვანი და მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების გამგე, ეთნოკონფლიქტების შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელი. 1990-1992 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; 1992-1994 წწ. ადამიანთა და ნაციონალური უმცირესობის უფლებათა დაცვის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი. 1995-2002 წწ. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტში სამეცნიერო ხელმძღვანელი, 2003 წლიდან დღემდე „კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

ლ. მელიქიშვილმა 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საქორწინო წეს-ჩვეულებები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, ხოლო 2001 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ტრადიციული კულტურის როლი ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში (კონფლიქტი და სოციალური განწყობა ჯავახეთის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში)“.

ლ. მელიქიშვილი 2009 წ. არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2023 წ. – აკადემიკოსად.

**ლ. მელიქიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროა: სახელმწიფოს უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები, საზოგადოების განვითარების ეთნიკური ასპექტები, ეროვნული უმცირესობა და პოლიეთნიკური საზოგადოება, ეთნიკური ურთიერთობები, ეთნოპოლიტიკა, ტრადიცია და კულტურა.**

ლია მელიქიშვილი, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ ფართოდ აღიარებული ეთნოლოგ-კავკასიოლოგია. მან არაერთი ნოვატორული ნაშრომით გაამდიდრა ქართული ეთნოლოგიური მეცნიერება, უფრო მეტიც, სამეცნიერო კვლევის არაერთ ახალ მიმართულებას დაუდო სათავე. მრავალრიცხოვან ქართულ და უცხოენოვან მონოგრაფიებში, სამეცნიერო სტატიებსა და საერთაშორისო საჯარო გამოსვლებში ახალი ხედვითაა წარმოდგენილი კავკასიის მრავალეთნიკურ რეგიონში ერთაშორისი ურთიერთობების, ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნული ინტეგრაციის პრობლემები, რომლებიც ორგანულადაა დაკავშირებული ქართული სახელმწიფოს მოწყობის სტრატეგიასთან, რამაც მას საერთაშორისო აღიარება მოუპოვა. მის არაერთ ნაშრომს ფართო სამეცნიერო წრეებში საეტაპო მნიშვნელობა მიენიჭა.

მის სახელთანაა დაკავშირებული ეთნოლოგიურ კვლევებში დანერგილი არაერთი სხვა სიახლეც. ამ თვალსაზრისით ხაზგასასმელია საქართველოს სასაზღვრო კონფლიქტურ რეგიონებში საველე მუშაობის წარმართვის შემუშავებული ახალი მეთოდი, რომლითაც არა მარტო ქართველი ეთნოლოგები, არამედ საქართველოში მოღვაწე უცხოელი სპეციალისტებიც ფართოდ სარგებლობენ. იგივე უნდა ითქვას მის მიერ შემოთავაზებულ თეორიაზე ექსტრემალურ სიტუაციებში კულტურათაშორის დიალოგის ფაქტორის მნიშვნელობის შესახებაც, რომელიც პრაქტიკაში მრავალგზის იქნა გამოყენებული საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

ლ. მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაში საქართველოს სასაზღვრო ზოლის პოლიეთნიკური საზოგადოებების შესწავლა, რომელიც მისი იდეა იყო, პირველად მის მიერ განხორციელდა და მისი კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად იქცა. სამეცნიერო საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ეს მიმართულება, შეიძლება ითქვას, უმალ აიტაცა და თავისი კვლევის პრიორიტეტად აქცია. ასე, რომ საზღვრისპირა რეგიონების მთლიანობაში ისტორიულ-ეთნოლოგიური კუთხით შესწავლა და შედეგების სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის გამოყენება ლია მელიქიშვილის დამსახურებაა.

**ლ. მელიქიშვილს ეკუთვნის ეთნოლოგიის დარგის თანამედროვე ინტერპრეტაცია. მან ეთნოლოგია არა მხოლოდ მეცნიერების, არამედ საზოგადოების მწვავე პრობლემების გადაჭრის სამსახურში ჩააყენა. მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ეთნოლოგიის დარგში საეტაპო ცვლილება. პატარა, მაგრამ საოცრად საინტერესო წიგნში: „ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია“, მან პირველმა, მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში, სამართლიანად შეაფასა საბჭოთა ეთნოგრაფიაში კომუნისტური იდეოლოგიის პოლიტიკურად დანერგილი საფუძვლები და დაუბრუნა ღირსეული ადგილი ეთნოლოგიას, რომელიც აკრძალული იყო, როგორც „ბურჟუაზიული“ მეცნიერება და სამეცნიერო კვლევის ახალ მიმართულებას დაუდო სათავე.**

XX საუკუნის 30-იან წლებში აკრძალული მეცნიერების თეორიული კვლევა პროგნოზირებადი მიმართულებით მისი ძალისხმევით აღსდგა. ქართული ეთნოლოგიური სკოლა კვლავ ევროპულ ოჯახს დაუბრუნდა. ისეთ საკითხებს (ტოლერანტობა, იდენტობა, ქსენოფობია, ღირებულებები და სხვა), რომელიც ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არ მუშავდებოდა, ფართო ასპარეზი გაუხსნა. უფრო მეტიც, მელიქიშვილის თაოსნობით ეთნოლოგიურ მეცნიერებაში საფუძველი ჩაეყარა სრულიად ახალ მიმართულებას – კონფლიქტოლოგიას.



# სახელმწიფოსა და საზოგადოების ეთნიკური ურთიერთობების თვალსაჩინო მკვლევარი

## ლია მელიქიშვილის 80-წლიანი გადასახედიდან

ქართული ეთნოლოგიური სკოლა, XX საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე დადგა. კვლევის არეალში მოექცა ეთნოჯგუფები, ეთნომოწყობა, კონფლიქტური სიტუაციები, რამაც გაზარდა მისი მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხების პრაქტიკული მხარეების გადაწყვეტის საქმეში. თანამედროვეობამ, დროის შესაბამისად, მოითხოვა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ბრწყინვალე მონაპოვრის საფუძველზე, დარგის პრაქტიკული ღირებულების და პროგნოზირებადი ხასიათის წინ წამოწევა და მიმდინარე ცხოვრებისეული საკითხების გადაჭრაში აქტიურად ჩართვა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ლ. მელიქიშვილის მიერ ახალი მეთოდოლოგიით შემუშავებული პროგრამები, რომლის მიხედვითაც ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად შესწავლილია ეთნოგარემო, სადაც ადაპტირდება მიგრირებული მოსახლეობა, გამოვლენილია ცალკეული საზოგადოებების წარმომშობი ეთნიკური წრე, მისთვის სახასიათო ინდივიდუალური ნიშნებით, სამეურნეო თვისებებით, დაკვირვების არეში ექცევა თანამედროვეობაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, რაც საშუალებას იძლევა ანალიზი გაუკეთდეს წინასაკონფლიქტო სიტუაციის წარმომშობ მიზეზებს.

**არაერთი სიახლის შემცველია მეცნიერის ძიებანი „ღია და დახურულ საზოგადოებათა“ ურთიერთმიმართების პრობლემა და მის მიერ შემუშავებული კულტურის „ბირთვისა და პერიფერიის“ საკითხი. მან ადამიანისა და საზოგადოების მთლიანობაში შესწავლას ფართო გზა გაუკვალა და ქართული ეთნოლოგიური სკოლა ახალ მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა, ანუ ეთნოლოგიური საგნის არსი ახლებურად გადაიაზრა. ამით მან შეასრულა საქართველოში დარგის მამამთავრის გიორგი ჩიტაიას სურვილი, რომელიც წერდა, რომ „ოდესმე დადგება დრო, როდესაც მეცნიერებას მიეცემა საშუალება სიმართლის თქმისა“. ამ სურვილის ასრულება, თითქმის 70 წლის შემდეგ, ლია მელიქიშვილს ხვდა წილად. ამიტომ მისი სამეცნიერო მიღწევები და ინოვაციური კვლევები ეთნოლოგიურ მეცნიერებაში, როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ დამსახურებულადაა შეფასებული და აღიარებული.**

ქალბატონი ლია მელიქიშვილი სწავლობს ტრადიციული კულტურის როლის მნიშვნელობას ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, მის დადებით და უარყოფით მხარეებს. პირველად ქართულ ეთნოლოგიაში შესწავლილი იქნა ღირებულება „სამშობლო“, რომლის „ეთნიკური საზღვრები“ მხოლოდ ადამიანის აზროვნებაშია, და რამდენად საშიში აღმოჩნდა იგი პრაქტიკაში სამანიპულაციოდ უცხო ძალებისათვის კარგად დაგვანახა ბოლო წლებში განვითარებულმა ეთნოკონფლიქტებმა. მის მიერ შესწავლილ ირიდენტულ და სეპარატისტულ მოვლენებს სააშკარაოზე გამოაქვს ტერიტორიული პრეტენზიების საკითხები.

ლია მელიქიშვილის, როგორც მეცნიერის, საერთაშორისო ავტორიტეტის ნიშნული უმაღლესია, საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრები სისტემატურად თანამშრომლობენ, იწვევენ კონსულტაციებისათვის, მონაწილეობენ მის მიერ ორგანიზებული ექსპედიციების მუშაობაში. მაღალმა საერთაშორისო ავტორიტეტმა განაპირობა საერთაშორისო პროექტებში მისი არაერთგზის მონაწილეობა. ლ. მელიქიშვილის ნაშრომებით სარგებლობენ არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი მეცნიერები, ბაკალავრები, მაგისტრანტები და დოქტორანტები.

ლ. მელიქიშვილის ორგანიზაციული ნიჭი წლების მანძილზე არაერთგზის დადასტურდა. შესაშური გულმოდგინებით ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებას, ეთნოკონფლიქტების შემსწავლელ ჯგუფს, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში განხორციელებულ ეთნოგრაფიულ სამეცნიერო ექსპედიციებს, პროექტებით გათვალისწინებულ შრომატევად სამუშაოებს. 2003 წლიდან დღემდე წარმართავს კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე თავად ბრძანდება. მის მიერ ჩატარებულმა სამეცნიერო ძიებებმა დიდად განაპირობეს ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ძალზე მნიშვნელოვანი მოქალაქეობრივი აქტივობა.

ლია მელიქიშვილი არის: 1967-2017 წლებში საქართველოს და კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში, გერმანიასა და პოლონეთში ჩატარებული 60-მდე ეთნოგრაფიული ექსპედიციის მონაწილე და ხელმძღვანელი; მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციის (მათ შორის საზღვარგარეთ) მონაწილე და ორგანიზატორი; საერთაშორისო და ადგილობრივი 25 სამეცნიერო გრანტის ავტორი, ხელმძღვანელი, შემსრულებელი; რამდენიმე მასშტაბური ეთნოგრაფიული ფოტო გამოფენისა და 7 ფილმის ავტორი; ათობით საგაზეთო ინტერვიუსა და ტელედებატების მონაწილე.

ქალბატონი ლია მელიქიშვილი ღრმად მოაზროვნე, თავისი საქმის კარგი მცოდნე და კეთილსინდისიერი მეცნიერია. მეცნიერული კვლევის შედეგად მიღებული თეორიული დასკვნების გამო პერსონალია „ლია მელიქიშვილი“ შეყვანილია ლექსიკონში: „Словарь конфликтолога“ და ენციკლოპედიაში: „Национальная психологическая энциклопедия“.

**ლ. მელიქიშვილი არის 150-მდე სხვადასხვაენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული) სამეცნიერო ნაშრომის, 35 მონოგრაფიის, წიგნის, სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი.**

ლ. მელიქიშვილს მიღებული აქვს სხვადასხვა სახელობითი ჯილდო და სიგელი. 2001 წელს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრობლემების კვლევა-დამუშავებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი მეცნიერული და ორგანიზატორული საქმიანობისათვის „ღირსების ორდენით“ დააჯილდოვეს.

**ვუსურვებთ ქალბატონ ლიას შემოქმედებითი ძიებებითა და წარმატებებით აღსავსე დღეგრძელ დღეებს.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**



# „თსუ ახალგაზრდული ფორუმი – ანაკლია 2023“

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 200-ზე მეტი სტუდენტი რამდენიმე დღეა ანაკლიაში სტუდენტურ ბანაკში იმყოფება, რომელიც რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ გახსნა. თსუ-ს ინფორმაციით, პროექტი „თსუ ახალგაზრდული ფორუმი ანაკლია 2023“ ახალგაზრდული სააგენტოს მხარდაჭერით იმართება და სტუდენტებისთვის სხვადასხვა სახის აქტივობას ითვალისწინებს.**

პროექტის ფარგლებში თსუ შვიდივე ფაკულტეტის სტუდენტები ჩაერთვებიან საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, მოუსმენენ საჯარო ლექციებს. პირველი საჯარო ლექცია თემაზე „სამხედრო ხელოვნება ძველ საქართველოში“ სტუდენტებს რექტორმა ჯაბა სამუშიამ წაუკითხა. ლექციის შემდეგ გაიმართა დისკუსია. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ პაპუკაშვილმა.

**„აქ ძალიან კარგი შესაძლებლობაა სხვა ფაკულტეტის სტუდენტების გაცნობის, მათთან დაახლოების. ჯერჯერობით ძალიან კმაყოფილი ვარ. ასევე, ვარ კიდევ ბევრი საინტერესო ამბისა და აქტივობის მოლოდინში“,** – განაცხადა თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა მარიამ ჩხეიძემ.

**„თსუ ახალგაზრდული ფორუმი ანაკლია 2023“ სპორტულ ტურნირებსა და ინტელექტუალურ თამაშებში გამარჯვებულთა დაჯილდოებით 20 სექტემბერს დასრულდება“.**




# როგორ გაუძლებს საბურთალო „სითი მოლის“ და „ორბის“ ახალ პროექტებს?

**სავაჭრო ცენტრი „სითი მოლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო კოლაფსი სექტემბრის დადგომასთან ერთად გამწვავდა. ვაჟა-ფშაველასა და ქავთარაძის ქუჩები ავტომობილების ნაკადს ვერ ატარებს.**

ამ ფონზე, „სითი მოლი“ გაფართოებას გეგმავს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა, დამატებითი ბრენდების შემოყვანის შესაძლებლობას იძლევა. რა გეგმა აქვს კონკრეტულად გაფართოებასთან დაკავშირებით სავაჭრო ცენტრს და როგორ აპირებს სატრანსპორტო კოლაფსის თავიდან აცილებას, ამ თემასთან დაკავშირებით „კომერსანტი“ „სითი მოლს“ დაუკავშირდა, თუმცა კომპანიის წარმომადგენელმა კომენტარისგან თავი შეიკავა.

**პარალელურად ყაზბეგის გამზირზე 2024 წლის ბოლოს კომპანია „ორბი“ სასტუმროების ჰაბის მშენებლობას დაასრულებს. „ცენტრალ პარკ თაუერსი“, 1500-ნომრიანი 25-ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების ჰაბი იქნება.**

პროექტების დასრულების შემდეგ, რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს აღნიშნული ტერიტორია საგზაო მოძრაობის კუთხით და რამდენად შეძლებს დიდი რაოდენობის ნაკადების გატარებას არსებული ინფრასტრუქტურა,




ამის შესახებ „კომერსანტთან“ სფეროს სპეციალისტებმა ისაუბრეს.

საქართველოს საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ავტომრბოლელი მევლუდ მელაძე ამბობს, რომ კონკრეტული მონაკვეთი ისედაც დატვირთულია, გეგმაში კი რამდენიმე დიდი პროექტია, ამიტომ წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება მიიღოს სატრანსპორტო ნაკადები ასეთმა გრანდიოზულმა შენობებმა.

**„ქალაქის ცენტრალურ ადგილას, სადაც ყოველდღიურად ისედაც გადატვირთული მოძრაობაა და საგზაო კოლაფსია, ხდება გათვლა, თუ რას აიტანს კონკრეტული მონაკვეთი და იმის მიხედვით შენდება და ფართოვდება შენობები. დედაქალაქი უნდა გაიშალოს და ახალი სივრცეები გაჩნდეს, სადაც სატრანსპორტო ნაკადები იქნება გათვლილი და საპარკინგე ადგილები მოეწყობა.**

**თუმცა ინვესტორისთვის მთავარია შემოსავალი და სანამ ასეთ სარფიან ადგილებზე მშენებლობა შესაძლებელი იქნება, ამ შანსს არცერთი ბიზნესი არ გაუშვებს“**, – ამბობს მევლუდ მელაძე.

**მატებით ახალი პროექტების განხორციელება და მშენებლობა არასწორად მიმაჩნია. ზოგადად, ნებისმიერი პროექტი, არ აქვს მნიშვნელობა სავაჭრო ცენტრი იქნება ეს, სასტუმრო თუ სხვა, გარდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისა, უნდა იყოს გათვლილი შესაბამისი რაოდენობის საპარკინგე ადგილებზე, მაგრამ აქ ყველაზე მთავარია სატრანსპორტო მოწყობა და ამის საშუალებას უნდა იძლეოდეს აღნიშნული ტერიტორია.**

**ზოგადად საბურთალო და კონკრეტულად ეს მონაკვეთი ისედაც დატვირთულია, გეგმაში არის მიმდებარედ რამდენიმე დიდი პროექტი, ამიტომ წარმოდგენაც არ მაქვს, როგორ შეიძლება მიიღოს სატრანსპორტო ნაკადები გრანდიოზულმა შენობებმა და სავაჭრო ცენტრმა, განსაკუთრებით საღამოს საათებში.**

**უცხოეთში ჯერ გზას აკეთებენ, შემდეგ**

ფონდის „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ დირექტორი ირაკლი იზორია განმარტავს, რომ ხშირია შემთხვევები როდესაც მსხვილი პროექტები ხორციელდება და არ არის გათვალისწინებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ამიტომ ფაქტობრივად ტროტუარებზე ხდება ავტომანქანების გაჩერება, გზა არის გადატვირთული და საპარკინგე ადგილებზე არასწორი პარკირება შეინიშნება, რაც ძალიან დიდ ქაოსს და პრობლემებს ქმნის.

**„ერთ ადგილას ასეთი დიდი პროექტის განხორციელება თუ იგეგმება, აუცილებლად უნდა იყოს კერძო სექტორი ჩართული საპარკინგე ადგილების მშენებლობაში, თუმცა ისეც არ უნდა მოხდეს, რომ ეს ეწინააღმდეგებოდეს თბილისის გენერალურ გეგმას. ასეთი პროექტების განხორციელებას, რა თქმა უნდა, მოჰყვება საცობები, გაიზრდება ნაკადები, თუმცა თუ მერია გააგრძელებს რეფორმას და საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას, შედარებით შემცირდება ავტომობილები.**

**ზოგადად, ასეთი პროექტების დაწყებამდე ტარდება შესაბამისი კვლევები იმის შესახებ თუ რა რეალურ ცვლილებებს მისცემს ირგვლივ იერსახეს და როგორი იქნება ტრანსპორტის მდგომარეობა, დიდი იმედი მაქვს, რომ ეს გაკეთებულია. ხშირად როცა მიზიდულობის ცენტრები შენდება, ფაქტობრივად ტროტუარებზე ხდება ავტომანქანების გაჩერება, გზა არის გადატვირთული და საპარკინგე ადგილებზე არასწორი პარკირება შეინიშნება, რაც ძალიან დიდ ქაოსს და პრობლემებს ქმნის, იმედია ასე არ მოხდება“**, – ამბობს ირაკლი იზორია.

მისი თქმით, მართალია იმის შანსი, რომ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების სტუმრები ძირითადად ავტომობილებით გადაადგილდებოდნენ, უფრო მაღალია, მაგრამ საცობების გამო შესაძლოა ტურისტებიც იძულებულები გახდნენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისარგებლონ.

**„თუ ფიზიკურად გართულდება გადაადგილება და მთელი დღე საცობში მოუწევთ ყოფნა, შესაბამისად ტურისტიც იძულებული იქნება საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისარგებლოს, ამიტომ არის მნიშვნელოვანი იმ არეალებში ეს საკითხი ისე იყოს განვითარებული, რომ მაგ ადგილას, სადაც ყველა შემთხვევაში იქნება საავტომობილო კოლაფსი და პრობლემები, მერიამ გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საჯარო სივრცეები და უსაფრთხო ტროტუარები დაახვედროს“**, – ამბობს ირაკლი იზორია.

აქვს თუ არა რაიმე გეგმა დედაქალაქის ურბანული დაგეგმარების სამსახურს „სითი მოლის“ მიმდებარედ კოლაფსის განტვირთვისა და „ორბის“ პროექტის ამუშავების შემდეგ იგივე პრობლემის თავიდან ასაცილებლად, „კომერსანტი“ ამ საკითხის გასარკვევად მუშაობას აგრძელებს.

# ავტომფლობელთა სავალდებულო დაზღვევა: პროექტი მზადაა, თუმცა მისი ამოქმედების ვადა ისევ გადაიწევს!

**ავტომფლობელთა სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონპროექტზე მუშაობა დასრულდა. „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის“ შესახებ კანონპროექტს მთავრობა საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარე საშემოდგომო სესიაზე წარადგენს. მისი მიღების შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებული იქნება, შეიძინოს სავალდებულო დაზღვევის პოლისი, სამაგიეროდ, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაცული იქნება ზარალის ანაზღაურებისგან.**

სადაზღვევო ასოციაციის ხელმძღვანელი **დევი ხეჩინაშვილი** აღნიშნავს, რომ სექტორი წლების განმავლობაში ელის ამ ცვლილებას, რომლის შედეგადაც ბიზნესს დაახლოებით 200 მლნ ლარის შემოსავალი ექნება, ხოლო წელიწადში 120 000 ზარალი ანაზღაურდება.

**„ეს ცვლილება ვითარებას შეცვლის რადიკალურად. ჩვენთვის ყველაზე კარგი რეკლამა იქნება ანაზღაურებული ზარალი, რომ გადავხედოთ მონაცემებს, 1.7 მლნ ავტომობილია რეგისტრირებული, ალბათ მინიმუმ 1.2 მლნ არის აქტიური, აქედან გამომდინარე, ეს დაზღვევა რომ ამოქმედდება, წელიწადში დაახლოებით 120 000 ზარალი იქნება ანაზღაურებული. ანაზღაურებული ზარალი მნიშვნელოვნად იმოქმედებს მომავალში სადაზღვევო კულტურის ჩამოყალიბებაზე.**

**მოგეხსენებათ, ერთ-ერთი მოთხოვნა, რაც ევროკავშირიდან წლებია გვაქვს, არის ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის დაშვება საქართველოში. ეს არის ერთ-ერთი გზა იმისა, რომ ბაზრის მოცულობა და მოსახლეობის და ეკონომიკის დაცულობა გაიზარდოს.**

**საქართველოში მილიონ ნახევარზე მეტი მანქანაა და მათ მფლობელებს არავინ ავალებს მანქანის დაზღვევას, არადა რამდენიმე ათეული ათასი ავტოსაგზაო შემთხვევაა წელიწადში. შესაბამისად, ამ ზარალების ანაზღაურება არ უნდა იყოს დამოკიდებული მძღოლის შესაძლებლობაზე. საქართველოს გარდა უკლებლივ ყველა ქვეყანაში, აფრიკის რამდენიმე ქვეყანას თუ არ ჩავთვლით, სავალდებულოა მესამე პირის წინაშე ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა. სავალდებულო დაზღვევის შემთხვევაში, ბრალეულობის მიუხედავად, გამონაკლისის გარეშე ხდება ანაზღაურება. სავალდებულო დაზღვევა სოციალური პროდუქტია და ავტოსაგზაო შემთხვევის ყველა პროდუქტი კომპენსირდება“**, – განუცხადა „კომერსანტს“ **ხეჩინაშვილმა.**

სადაზღვევო ასოციაციის გათვლებით, ავტოსატრანსპორტო შემთხვევების 7-10% -მდე ზარალი სამედიცინო კუთხითაა. კანონპროექტის ამუშავების შემთხვევაში მარტო ამ მიმართულებით სახელმწიფო ჯამში 30-40 მილიონ ლარს დაზოგავს და ათასობით ადამიანს დიდი შეღავათს გაუწევს, როგორც სამედიცინო სერვისის მიღების, ასევე მატერიალური ზარალის კომპენსაციის მხრივ.

„საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ თავმჯდომარე **ეკა ლალიაშვილი** კანონპროექტის მნიშვნელობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ბევრი ნიუანსი უნდა გასაჯაროვდეს, რათა მსჯელობის შესაძლებლობა ჰქონდეთ.



**„წესით, ყველა მძღოლს უნდა მოსწონდეს ამ დაზღვევის არსებობა, თუმცა ეჭვით უყურებს ხალხი, შესაბამისად, მეტი დეტალი უნდა ვიცოდეთ, რომ უფრო თამამად ვიმსჯელოთ. როცა დაზღვევა არსებობს, ყველა მხარე დაცულია, რომ ზარალი ანაზღაურდეს. შეფასების მექანიზმია მნიშვნელოვანი, რომ სისტემამ გამართულად იმუშაოს. მძღოლის პასუხისმგებლობას და ზარალის ანაზღაურებას ახდენს. ვადები არ ვიცი, მაგრამ რადგან შემოდგომაზე სრულდება კანონის შემუშავება, სავარაუდოდ, წელს ვერ მოესწრება“**, – აღნიშნა ეკა ლალიაშვილმა.

ავტომფლობელთა მესამე პირისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევის კანონპროექტი პარლამენტში ჯერ კიდევ 2018 წლის 31 დეკემბერს დარეგისტრირდა, თუმცა, შემდგომ მისი განხილვა შეჩერდა. აღნიშნული კანონის მიღება ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში აუცილებლად შესასრულებელი მოთხოვნაა. გეგმის მიხედვით, ზემოხსენებული დაზღვევის ფლობის ვალდებულება ძალაში 2024 წლიდან უნდა შევიდეს, თუმცა რადგან კანონპროექტი ჯერ საკანონმდებლო ორგანოში არც კი შესულა, მისი განხილვა, მიღება და ამოქმედება კიდევ გადაიწევს. როგორც წესი, ამ პროცედურებს 6-დან 12 თვემდე ვადა სჭირდება.

**ბექა დანელია**



# როიალების არის მრავლობა!

**თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში კომპანია „სტეინვეი ენდ სანსის“ (STEINWAY & SONS) წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, „სტეინვეი ენდ სანსის“ (STEINWAY & SONS) პრეზიდენტი გიდო ციმერმანი, რეგიონული დირექტორი ანტონ ვილჰელმი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მაისურაძე და სტეინვეის ნიუ-იორკის ქარხნის მთავარი ფინანსისტი მაია მუტოპულოსი ესწრებოდნენ. ინფორმაციას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.**

„სტუმრებმა კონსერვატორიის შენობა და „სტეინვეი ენდ სანსის“ როიალები სამუშაო ვითარებაში დაათვალიერეს. პიანისტმა, კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა, ტატო ალანიამ სტეინვეის საკონცერტო როიალები პრაქტიკაში გამოცადა და სტუმრებისთვის სკრიაბინის „ორი პოემა“ Op. 32 შეასრულა. ტატო ალანია 2011-2019 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, პროფესორ ნუცა ჭირაქაძის კლასში, და მაგისტრატურის საფეხურის კურსდამთავრებულია.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში საუბარი შეეხო 2024 წლის განმავლობაში როიალების შემოტანის პროცედურებსა და სამომავლო მომარაგების საკითხებს. აგრეთვე, ყურადღება გამახვილდა სხვა სამუსიკო-საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობაზე. მიმდინარე წლის სექტემბერში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედი“ და ევგენი მიქელაძის სახელობის ქ. თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი მიიღებენ სტეინვეისგან უფასოდ, საცდელად, ახალ ორ-ორ ინსტრუმენტს – როიალსა და პიანინოს.

გარდა ამისა, შეხვედრაზე თეა წულუკიანმა წარმოადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის, მაია ხაჯიშვილის, პოზიცია „სტეინვეი ენდ სანსთან“ სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებით. სტეინვეის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისას მინისტრმა კიდევ ერთხელ განიხილა საკითხი, რომ კომპანიამ გადაამზადოს ქართველი ფორტეპიანოს ამწყობი სპეციალისტები და ჰამბურგში, სტეინვეის ქარხანაში, სამინისტროს დაფინანსებით მათ გაიარონ ტრენინგ-კურსები, რათა ინსტრუმენტების ეს დიდი ფონდი სათანადოდ შემოვინახოთ.

შეგახსენებთ, რომ ნაყოფიერი მოლაპარაკებების შედეგად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხელშეწყობით, კულტურის სამინისტრომ მსოფლიოში აღიარებულ მწარმოებელთან „სტეინვეი ენდ სანს“ რამდენიმეწლიანი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა. დოკუმენტის მიხედვით კონსერვატორიას ეტაპობრივად, 2025 წლამდე, გადაეცემა 78 როიალი, აქედან:

**17 როიალი –2022 წელს;**

**61 როიალი – 2023-25 წლებში, ყოველწლიურად კონსერვატორიის მიერ განსაზღვრული მოდელებისა და ოდენობის მიხედვით.**

**2022 წელს როიალებისთვის გამოიყო 1 753 000 ევრო, 2022-25 წლებში კი – 8 012 636 ევრო.**

2022 წლის 14 სექტემბერს საქართველოს კულტურის სამინისტრომ „სტეინვეის“ ცხრა როიალი მიიღო და კონსერვატორიის როიალების ფონდი 50-წლიანი წყვეტის შემდეგ განახლდა. მოცემული ცხრა როიალიდან ხუთი სამუშაო როიალია, ორი – ნახევრად საკონცერტო და ორიც კამერული ანსამბლისთვისაა განკუთვნილი. ასევე, 2022 წლის 8 დეკემბერს კონსერვატორიას გადაეცა როიალების მეორე პარტია, კერძოდ, რვა სამუშაო როიალი. 2023 წლის 15 ივნისს კი როიალების მესამე პარტია, შვიდი სამუშაო როიალი მიიღო. მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლომდე კონსერვატორიის კიდევ 11 აუდიტორია დაკომპლექტდება 13 როიალით.

აღსანიშნავია, რომ მრავალწლიანი ისტორიის მქონე კომპანია „სტეინვეისთვის“ ევროპის მასშტაბით ეს შესყიდვა უპრეცედენტოდ ითვლება.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის ნოემბერში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის ქალაქ ჰამბურგში, კომპანიაში „სტეინვეი ენდ სანს“. თეა წულუკიანი კომპანიის პრეზიდენტს გვიდო ციმერმანსა და რეგიონულ დირექტორ ანტონ ვილჰელმს შეხვდა. მინისტრმა დაათვალიერა „STEINWAY & SONS“-ის როიალების საწარმო, მათ შორის, საქართველოსთვის განკუთვნილი რვა როიალი, რომლებიც ჰამბურგიდან 25 ნოემბერს უნდა გამოგზავნილიყო.

როიალების გამოსაგზავნი პარტიის შესამოწმებლად და კომპანიასთან შემდგომი თანამშრომლობისთვის მინისტრთან ერთად კომპანიას მსოფლიოში აღიარებული ქართველი პიანისტი ალექსანდრე კორსანტია ეწვია. მან ერთ-ერთ როიალზე რამდენიმე ნაწარმოები შეასრულა.

სამწუხაროდ, მუსიკალური ინსტრუმენტების დეფიციტის საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ კონსერვატორიისთვის, არამედ სხვა სახელოვნებო სასწავლებლებისთვისაც. ინსტრუმენტებს განსაკუთრებულად საჭიროებენ: სსიპ ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი, სადაც მუსიკალური ინსტრუმენტები ბოლოს გასული საუკუნის 70-იან წლებში შეიძინეს, სსიპ გორის სამუსიკო კოლეჯი (1971 წლის შემდეგ კოლეჯს ახალი ინსტრუმენტი არ შეუძენია), სსიპ რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი (60-იანი წლების შემდეგ ინსტრუმენტები არ განახლებულა) და არაერთი სხვა.

# ნიკალა დანიიდან შვეიცარიაში მოგზაურობს



**შვეიცარიაში, ბეილერის ფონდში, ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. გამოფენა საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ბეილერის ფონდის, ლუიზიანას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმისა და „ინფინიტ არტის“ თანამშრომლობითა და ორგანიზებით შედგა.**

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის პირველი მოადგილე ნიკა ახალბედაშვილი, ბეილერის ფონდის ხელმძღვანელი სამუელ კელერი და სხვა მოწვეული სტუმრები.




გამოფენაზე წარმოდგენილია ფიროსმანის 46 ნამუშევარი, რომელთაგან 45 შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კოლექციას ეკუთვნის, ხოლო ერთი ნამუშევარი სოფელ მირზაანის ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის კოლექციიდანაა. გამოფენის კურატორი გახლავთ დანიელ ბაუმანი – ციურიხის კუნსტჰალეს დირექტორი.

ექსპოზიციის ფარგლებში სრულიად ახლებურად არის წარმოდგენილი ე.წ. ფიროსმანის ოთახი, რომლითაც დამთვალიერებლისთვის მოთხრობილია ფიროსმანისა და, ზოგადად, იმდროინდელი თბილისის ცხოვრება, ამისათვის კი გამოყენებულია ეროვნული მუზეუმის დიმიტრი ერმაკოვის ფონდის ფოტომასალა, იმ პერიოდის საგაზეთო პუბლიკაციები და გამოცემები.

ნიკო ფიროსმანის გამოფენას ბეილერის ფონდი 2023 წლის 17 სექტემბრიდან 2024 წლის 28 იანვრამდე უმასპინძლებს.

# ბათუმის თოჯინების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პირველი გამარჯვებულები



**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების მხარდაჭერით, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა, საქართველოს თოჯინების პროფესიული თეატრების გაერთიანებასთან ერთად, ბათუმის საერთაშორისო თოჯინების თეატრალური ფესტივალი დააფუძნა, რომელიც წელს პირველად ჩატარდა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ფესტივალი 8 სექტემბერს გაიხსნა და 13 სექტემბერს დაჯილდოების ცერემონიით დაიხურა. ფესტივალის დაჯილდოების ღონისძიებას უძღვებოდა ნიკა წულუკიძე.

**გამარჯვებულები შვიდ ნომინაციაში გამოვლინდნენ:**

**საუკეთესო სპექტაკლი – „მახინჯი იხვის ჭუკი“;**

**საუკეთესო რეჟისურა – ნინო მაღლაკელიძე;**

**საუკეთესო სცენოგრაფია – ვახო ქორიძე;**

**საუკეთესო მუსიკალური გაფორმება – სანდრო ნიკოლაძე;**

**საუკეთესო მსახიობი ქალი – ირინა კუბანსკი;**

**საუკეთესო მსახიობი კაცი – აბელ სოსელია;**

**ქართული კრიტიკის პრიზი – „80 000 კილომეტრი წყალქვეშ“.**

კონკურსანტებს აფასებდა საერთაშორისო ჟიური პოლონეთიდან, თურქეთიდან და ყაზახეთიდან. ფესტივალის პირველ წელს რვა საკონკურსო და ორი არასაკონკურსო ჩვენების ფარგლებში წარმოდგენილი იყო შვიდი თეატრის ათი სპექტაკლი. მომავალში ფესტივალი გაფართოვდება და მოიცავს როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების თეატრალურ დასებს.

გარდა სპექტაკლის ჩვენებისა, ფესტივალი მსახიობებს სთავაზობდა მასტერკლასების სერიას: სასცენო მეტყველების სავარჯიშოები; თოჯინების თეატრი – ტრადიციული თურქული ჩრდილების თეატრი – ყარაგეზი; თოჯინების თეატრის დღევანდელი მდგომარეობა აზიასა და ყაზახეთში; ჩვილებისთვის განკუთვნილი სპექტაკლების შექმნა.

# თინათინ ყაჯრიშვილის „მოქალაქე წმინდანი“ „ოსკარის“ ნომინაციაზე!

**კინოთეატრ „ამირანში“ გამართულ ღონისძიებაზე საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა შესარჩევი კონკურსით ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოების 2024 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს საკონკურსო ფილმი გამოავლინა,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეროვნული კინოცენტრი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, 2024 წელს ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოებაზე საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს კანდიდატი ფილმია „მოქალაქე წმინდანი“. ფილმის რეჟისორია თინათინ ყაჯრიშვილი.

„ფილმმა შესარჩევ კონკურსში კომისიის ხმების უმრავლესობით გაიმარჯვა (12-იდან რვა ხმა). „მოქალაქე წმინდანი“ გადაღებულია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

კონკურსში კომისიის წევრების ორ-ორი ხმა მიიღო გიორგი ოვაშვილის ფილმმა „მშვენიერი ელენე“ და ელენე ნავერიანის ფილმმა „შაშვი, შაშვი, მაყვალი“.

**საქართველოს საკონკურსო ფილმი სპეციალური კომისიის ფარული კენჭისყრის საფუძველზე გამოვლინდა. კომისიის წევრები იყვნენ: გიორგი ხარებავა; კონსტანტინე ესაძე; ედმონდ მინაშვილი; ზაზა შათირიშვილი; ვალერიან კირკიტაძე; ოთარ ბუზაშვილი; ნიკოლოზ შენგელაია; მარიამ ხაჭვანი; რუსუდან გლურჯიძე; ლევან გიგინეიშვილი; ბაჩანა ოდიშარია; გიორგი ცხვედიანი.**

წელს საქართველოს საკონკურსო ფილმის სტატუსის მოპოვებას ოთხი ქართული ფილმი ცდილობდა:




**1. „გრაკლიანი გორის წარწერის საიდუმლო“ (რეჟისორი – ლელა წიფურია);**

**2. „მოქალაქე წმინდანი“ (რეჟისორი – თინათინ ყაჯრიშვილი);**

**3. „მშვენიერი ელენე“ (რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);**

**4. „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ (რეჟისორი – ელენე ნავერიანი).**



# ამერიკული ბაზის არსებობა შემაკავებელი ფაქტორია პოტენციური აგრესორისთვის!

## როგორ დაიცავს საქართველოს ამერიკული ბაზა?!

**როგორც კვლევები ადასტურებს, საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ნატოს ქოლგის ქვეშ ხედავს, რასაც წევრ სახელმწიფოებს შორის კონსენსუსი სჭირდება და ეს ჯერ კიდევ ბუნდოვანი პერსპექტივაა. როდესაც მეზობლად აგრესიული სახელმწიფო გყავს, რომელიც არ ცნობს საერთაშორისო სამართალს, ხოლო შენ უსაფრთხოების სისტემა არ გფარავს, ცხადია, მოწყვლადი ხარ, ამიტომ საექსპერტო წრეებში ხშირად კეთდება აქცენტები მცირე ალიანსების და ორმხრივი ურთიერთობების მაქსიმალურად გაღრმავებაზე, რომელიც სულაც არ მოდის წინააღმდეგობაში ალიანსის წევრობის მიზანთან. ამ კუთხით ერთ-ერთ საუკეთესო გამოსავლად საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზის განთავსება სახელდება!**

თემა მორიგ ჯერზე გახდა აქტუალური, როდესაც მმართველი პარტიის თავმჯდომარემ საკითხის მნიშვნელობის დაკნინება სცადა. კერძოდ, „მთავარმა არხმა“ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ აშშ მზად იყო საქართველოში სრულფასოვანი სამხედრო ბაზის განსათავსებლად, რომ ამ წინადადებით სტუმრობდა ქვეყანას 2021 წელს პენტაგონის ხელმძღვანელი ლოიდ ოსტინი, თუმცა „ქართული ოცნებისგან“ უარი მიიღო.

ინფორმაციის კომენტირებისას ირაკლი კობახიძემ ერთის მხრივ, ცნობის ნამდვილობა უარყო, მეორეს მხრივ – თავად თემის დისკრედიტაცია სცადა: „ლიკა, ვიღაც გვარი ეწერა, რომელიც არის ამ ამბის გამავრცელებელი, ეს ხომ არასერიოზულია?! მეორე, ერთადერთი, რამაც საქართველოს შეიძლება მისცეს უსაფრთხოების გარანტია, არსებულ ვითარებაში, ეს არის ნატოს წევრობა. თქვენ იცით, რომ მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ცენტრალური ევროპის ქვეყნებს იცავს სწორედ ნატოს ქოლგა.

რა თქმა უნდა, არავითარი ბაზა, ზოგადად, არ არის უსაფრთხოების გარანტია. რაც შეეხება ამ ინფორმაციას, წყარო არის სასაცილო, დანარჩენზე კომენტარის გაკეთება არ ღირს. ბაზამ როგორ უნდა დაგიცვას შენ? ნატოს ქოლგა არის ერთადერთი გარანტი, ამიტომ არის ეს ყველაფერი აბსოლუტურად არასერიოზული“.

ამ კონტექსტში ხშირად იხსენებენ 2008 წლის ომს, როდესაც საქართველოში საფრანგეთის ელჩი მივიდა საჩხერის სამთო მომზადების ცენტრში, აღმართა საფრანგეთის დროშა და ბაზაზე დარჩა.

**„რუსებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს არა ფრანგული, არამედ ქართული ბაზა იყო, ფრანგების მონაწილეობით აშენებული, მაგრამ მოერიდნენ“**, – გაიხსენა „აქცენტთან“ გენერალმა **გიორგი სურმავამ.**

გენერალი **ვახტანგ კაპანაძეს „აქცენტთან“** მაგალითად კიდევ ორი ფაქტი მოჰყავს საქართველოს ახლო წარსულიდან:

- **„როდესაც 2008 წელს ერაყიდან ქართული დანაყოფი ჩამოიყვანა ამერიკულმა თვითმფრინავმა, თვითმფრინავი დაჯდა თბილისის აეროპორტში. იყო ინფორმაცია და საშიშროებაც, რომ რუსებს დაებომბათ დანაყოფი. ამერიკული თვითმფრინავი აეროდრომიდან არ გასულა, ვიდრე ბოლო ჯარისკაცი არ გაიყვანეს, რათა დარტყმები არ განხორციელებულიყო.**
- **ამავე პერიოდში ამერიკული ხომალდი შემოვიდა ბათუმის პორტში. მან პირობითად შემოიტანა ჰუმანიტარული დახმარება, თორემ ყველამ ვიცით, რისთვისაც შემოვიდა – ის იყო შემაკავებელი, არ მიეცა რუსებისთვის საშუალება, განეხორციელებინათ შემდგომი აგრესია“.**

უსაფრთხოების რა კომპონენტები დევს თან სამხედრო ბაზის განთავსებას, გენერალ სურმავას თქმით, ეს შეთანხმებაზე იქნება დამოკიდებული.

**„კუბაშიც არის ამერიკული ბაზა, მაგრამ ის სულაც არ იცავს კუბას“**, – ამბობს გენერალი და განაგრძობს, რომ თუ ვალდებულებებში იქნება გათვალისწინებული მაგალითად, საჰაერო სივრცის დაცვა ან სხვა რამ, ამის მიხედვით იმოქმედებს შეთანხმების მხარე:

**„ეს უნდა იყოს გაწერილი, უნდა შევთავაზოთ. რეალურად, კუბა გამონაკლისია: ამერიკას უმეტესად ბაზები აქვს ქვეყნებში, რომელთანაც პარტნიორულ დამოკიდებულებაშია და რაღაც ვალდებულებებიც აქვს ქვეყნის მიმართ. აქედან გამომდინარე, თუ აქ ბაზა გაიხსნა, იქნება დატვირთული გარკვეული ვალდებულებებით უსაფრთხოების კუთხით.მაგალითად, როდესაც ავღანეთიდან გამოდიოდნენ (ამერიკელები), იყო საუბარი, რომ აქ გაკეთებულიყო ლოჯისტიკური ჰაბი. ეს ცხადია, ვერ უზრუნველყოფდა საჰაერო თავდასხმისგან დაცვას, მაგრამ ამერიკა იღებდა ვალდებულებას, რომ სხვა ძალებით დაიცავდა და არა უშუალოდ იმ ბაზის ძალებით“.**

გენერალი დარწმუნებულია, რომ „ზოგადად ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ეს საკითხი მომგებიანია. ეს მეტყველებს, რომ ქვეყნის და რეგიონის მიმართ ინტერესი მაღალია“:

**„ბაიდენის მმართველობის დასაწყისში ეს თემა მინავლებული იყო. ომმა და აშშ-თურქეთის ურთიერთობების სხვა მოცემულობაში გადასვლამ, გააღვივა ინტერესი შავი ზღვის მიმართ და ეს უნდა გამოვიყენოთ. თუ არ გამოვიყენებთ, ისინი თავიანთ ინტერესებამდე მივლენ და ამით დაკმაყოფილდებიან, ჩვენიც რომ ჩავრთოთ, ჩვენივე აქტიურობაა საჭირო. რომ შევაჯამოთ, ბაზის განთავსება კარგი იქნება და ამას თან არ უნდა ახლდეს ანტიამერიკული კამპანია“.**

ბაზის მნიშვნელობის თაობაზე კოლეგის მოსაზრებას იზიარებს გადამდგარი გენერალ-მაიორი, საქართველოს გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი (2004-2005 და 2013-2016 წლებში), ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი, „ჯეოქეისის“ მრჩეველი ვახტანგ კაპანაძე და სვამს კითხვას, **ბაზის არსებობა რაში შეგვიშლიდა ხელს?**

**„საქართველოში ფუნქციონირებს ნატოს მომზადების სკოლა. ძალიან კარგად მახსოვს რუსების რეაქციები: „გახსნას არ დავუშვებთო“ და ა.შ. იყო აქტიური მუქარები. რამე გააკეთა რუსეთმა ამის საწინააღმდეგოდ? არა. ასევე გემახსოვრებათ მუქარები ლუგარის ლაბორატორიის ირგვლივ, მუშტების ქნევის გარდა არაფერი მოჰყოლია.**

**ბაზის არსებობის შემთხვევაში უფრო აქტიურად იქნებოდა შესაძლებელი ურთიერთქმედება, ერთობლივი სწავლებების განხორციელება, ვიდრე ევროპის სარდლობიდან ძალების გადმოსროლა და აქ სწავლების ჩატარებაა. როდესაც ნატოზე ვსაუბრობთ, ამერიკა ალიანსის წევრი ქვეყანა არ არის?! შესაბამისად, ნებისმიერი საფრთხის შექმნა ამერიკული ბაზისთვის გამოწვევა იქნებოდა ნატოსთვის. ამერიკელები აქტიურად მონაწილეობენ კონვენციური საბრძოლო მოქმედებებისთვის ქართული ბატალიონების მომზადებაში. შესაბამისი სასწავლო ცენტრიც არსებობს ვაზიანში. ეს ქმნის საფრთხეს?“**, – ამბობს გენერალი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავად საფრთხეს ვერ ხედავს: **„ბაზა, ან მოწინავე დასაწყობება, რაზეც ადრეც იყო საუბარი 2014 წელს, რომ საქართველოში შეინახებოდა ამერიკული დანაყოფების აღჭურვილობა და მხოლოდ პირადი შემადგენლობა ჩამოვიდოდა სწავლებების განსახორციელებლად, იქნებოდა გაცილებით იაფი და ეფექტური“.**

**გენერალი დასკვნის სახით ამბობს, რომ არა თავად ბაზა, ბაზის არსებობა იცავს – ბაზის არსებობა არის პოლიტიკურ–სამხედრო მნიშვნელობის, რომელსაც შეუძლია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაში. მეორე – მისი არსებობა უკვე შემაკავებელი ფაქტორია პოტენციური აგრესორისთვის!..**



## არ გააკეთო, ეს, ვლადიმერ!

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ მან რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გააფრთხილა, არ დაეწყო ომი უკრაინაში.

**„მე მას ვუთხარი, არ გააკეთო ეს, ვლადიმერ“**, – განაცხადა დონალდ ტრამპმა ვაშინგტონში გამართულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას. ამასთან, ტრამპმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ უკრაინაში რუსეთის ინტერვენცია არ მოხდებოდა, აშშ-ის ხელისუფლებაში ის რომ დარჩენილიყო. **„ოვალურ კაბინეტში ჩემს მოსვლამდე, როგორც კი საპრეზიდენტო არჩევნებში გავიმარჯვებ, მე რუსეთსა და უკრაინას შორის ამ საშინელ ომს მოვაგვარებ. ის არასდროს მოხდებოდა, მე რომ თეთრ სახლში ვყოფილიყავი“** , – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

## „მიუხედავად ამდენი დამცირებისა, კონსტრუქციულ პოზიციას ვიკავებთ...“

**აშშ-ის მხრიდან, რომელიც კარგად იცნობს რეგიონში არსებულ ვითარებას, მიუღებელია სომხური მხარის მიერ გამოთქმული პრეტენზიების გამეორება,** – ამის შესახებ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჯეიჰუნ ბაირამოვმა, კავკასიის მოლაპარაკებების საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის უფროს მრჩეველთან, ლუის ბონოსთან შეხვედრისას განაცხადა. ბაირამოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად სომხეთის მუდმივი სამხედრო-პოლიტიკური პროვოკაციებისა, აზერბაიჯანის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანიისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე სეპარატიზმის მხარდაჭერისა, აზერბაიჯანს კვლავ კონსტრუქციული პოზიცია აქვს.





## ომის იზოლირების ნაცვლად – გლობალიზაცია

**უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პიტერ სიიარტომ ევროპა „ომის გლობალიზებაში“ დაადანაშაულა**, – ამის შესახებ სიიარტომ ჰონგკონგში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. **„ევროპას ომის იზოლირება უნდა მოეხდინა, თუმცა ამის ნაცვლად მან ომის გლობალიზება მოახდინა. ევროპელებს ომი თავიდან უნდა აეცილებინათ, თუმცა ესკალაციის რისკები, პირიქით, იზრდება“**, – აცხადებს სიიარტო. მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ სასანქციო პოლიტიკამ შედეგები ვერ გამოიღო, ვინაიდან რუსეთი ომს აგრძელებს. სიიარტოს თქმით, ამასთანავე, სანქციების დაწესების გამო ევროპული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ყოველდღიურად მცირდება.

## სათადარიგო ნაწილებს პირდაპირ ბრძოლის ველზე დაამზადებენ

**უკრაინამ აშშ-სგან სამრეწველო 3D-პრინტერები მიიღო, რომლის დახმარებითაც სამხედრო ტექნიკის სათადარიგო ნაწილების შექმნა პირდაპირ ბრძოლის ველზეა შესაძლებელი.**

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის თანაშემწის, უილიამ ლაპლანტეს თქმით, 3D-პრინტერი სატვირთო ავტომობილის ზომისაა. უკრაინელებმა ამ ტექნიკის გამოყენება უკვე ისწავლეს.

**„თქვენ ამ პრინტერებით ძალიან მაგარი რამის გაკეთება შეგიძლიათ. თანაც ძალიან სწრაფად. აკეთებთ ისეთ ნაწილებს, რომელსაც სხვანაირად ვერც შექმნით“**, – განაცხადა ლაპლანტემ. უკრაინელები სამხედრო ტექნიკისთვის აუცილებელი სათადარიგო დეტალების შესაქმნელად 3D-პრინტერებს უკვე იყენებენ. ასევე ამ ტექნოლოგიით ისინი უპილოტო საფრენ აპარატებს აწარმოებენ. ახლა კი სათადარიგო ნაწილებს პირდაპირ ბრძოლის ველზე შექმნიან.

## ყაზახეთში დიმიტრი პესკოვის ცოლის შოუ გააუქმეს



**ყაზახეთში რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის, დიმიტრი პესკოვის ცოლის, ტატიანა ნავკას ყინულის შოუ გააუქმეს.**

შოუ 23 დეკემბერს „ალმატი არენაზე“ უნდა გამართულიყო და მისი სახელწოდებაა „შახერეზადას სიყვარულის ისტორია“, ალმათის ხელისუფლების ინფორმაციით, შოუს გაუქმების გადაწყვეტილება მისმა ორგანიზატორებმა მიიღეს.

**14 სექტემბერს ყაზახეთში გააუქმეს რუსი არტისტების კონცერტები, რომლებიც უკრაინის წინააღმდეგ ომს მხარს უჭერენ. ასე, მაგალითად, გაუქმდა იუმორისტული გუნდის, „კამიზიაკების“ კონცერტები. კონცერტის გაუქმების მიზეზი „ამ არტისტების საჯარო ქმედებები“ გახდა. ჯგუფის მონაწილეები აზამატ მუსაგალიევმა და საურ მოგილამ დონეცკის ოლქის ოკუპირებულ ნაწილში კონცერტი გამართეს. ამის შემდეგ ყაზახეთში შეგროვდა პეტიცია „კამიზიაკების“ კონცერტის გაუქმების მოთხოვნით.**

**ღამის ორი საათია.** ჩავათავე ჩემი უფროსი მეგობრის ნაჩუქარი წიგნი. სულ რამდენიმე საათი მედო მაგიდაზე და შესანიშნავი მხატვრობით ვტკბებოდი, ჩუქურთმადქცეული ესკიზებით, გინდაც მხატვრის მიერ ბარელიეფებად ნაქანდაკი ამ შესანიშნავი ისტორიული პოემის გმირთა სახეებისა. მხატვარი მრავალი ათასეული წლის წინანდელ, ანტიკურ ქართლში მამოგზაურებდა.

გასაკვირი არცაა, წამგვანებოდა ძველ შუმერულ-ურარტულსა და გინდაც ბაბილონურ, შემორჩენილ ქვაზე კვეთის შესანიშნავ ნიმუშებს, ყველაფერი ეს ხომ პროტოქართულია, ნასაზრდოები იმდროინდელი საერთო გემოვნება-ტრადიციებით, ეს ხომ ჩვენს უძველეს წინაპართა სულის ნაწილია. შიგადაშიგ ძველბერძნულ-რომაული ესკიზებიც გვხვდება, სწორედ ისეთი მიკენურ-რომაულ ლარნაკებსა და შენობათა კედლებზე შემორჩენილი ბარელიეფიდან რომ ვიცნობთ.

ესეც უცხო არ არის ჩვენთვის, რადგან არაფრით არ ჩამოვრჩებოდით ანტიკურ სამყაროში გამეფებულ მოდა-მიმდევრობებს, ტაძართ-შენობათა აგებ-მოხატვის წესებსა და ტრადიციებს, ხშირად აღვემატებოდით კიდეც და თუ თითო-ოროლაღა შემოგვრჩა კიდეც ანტიკურ დასავლეთსა და აღმოსავლეთში, კოლხურ და იბერიულ მიწაწაყრილებიდან შემთხვევით ამომზიურებულნი, სწორედ ისინი აოცებენ მსოფლიოს თავისი უნიკალურობით, რაც იმ უხსოვარ დროს ყოველდღიურობაშეგუებული იყო.

მაინც არ მომითმინა გულმა და შუაღამით ვიწყე კითხვა ქართველთა ერთ-ერთი უბრწყინვალესი პერიოდისდროინდელი ისტორიისა, რომელიც, თითქოს მივიწყებულია და ჩემი აზრით არაფრით ჩამოუვარდება საქართველოს „ოქროს ხანას“. აკი ვთქვი – ორ საათზე მოვრჩი-მეთქი მოგზაურობას ანტიკურ იბერიაში, ჩემი ქვეყნის წარსულში და... უკმარისობის გრძნობა დამრჩა. უკმარისობის გრძნობა არა თვით პოემიდან გამომდინარე, არამედ იმით, რომ ასრე მალე ჩამთავრდა ბრწყინვალება-სიდიადით ტკბობა, რაც გელა ქოქიაშვილის „ფარსმან ქველმა“ მომანიჭა ამ ცხელი ზაფხულის ჩახუთულ ღამეში.

**გელა ქოქიაშვილი** – ისტორიკოსი, პუბლიცისტი, მკვლევარი, ტელედოკუმენტალისტი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი, მეტად პოპულარული გადაცემების ავტორი, რომელიც საქართველოს წარსულს, ქართულ ეკლესია-მონასტრებსა და სალოცავებს ეხება და რომლებიც პერიოდულად გადიოდა ქართულ ტელესივრცეში. კაცი, რომელსაც ფეხით აქვს შემოვლილი მთელი საქართველოს მთა-ბარი, კაცი, რომელიც უტყუარი ალღოთი გრძნობს, სად აუგიათ მის წინაპრებს, თუნდაც ციდა სალოცავი, საიდანაც ღმერთს ესაუბრებოდნენ და სამშობლოსა და ოჯახის კეთილდღეობას შესთხოვდნენ. თუნდაც ფრჩხილის დონეზე იყოს მიწიდან ამოწვერილი უძველესი ქვა, გელას მახვილ მზერას არ გამოეპარება, სანამ მაყურებლამდე „მიიტანს“ უკვე შესანიშნავ დოკუმენტურ ფილმადქცეულს, მანამდე ათასჯერ ეწვევა, გაიკითხავს, უძველეს ფოლიანტებში გადაამოწმებს, ლამაზ ისტორიად ჩამოგიქნის და ისე მოგართმევს, ისე პროფესიონალურ დონეზე, რომ გაგიკვირდება – აქ ხომ მილიონჯერ მაინც ჩამივლია, ნუთუ ვერ შევამჩნიეო. გელამ იცის, გელას ალღო არ ჰღალატობს, შამბნარებში, მიყრუებულ, ძნელადმისადგომ მთის ფერდებზე, რომელიც ახლა ბალახებისა და ჯაგნარების საბრძანებელია, ფრთოსანთა თუ ქვემძრომთა თავშესაფარი, იქ იპოვის და ისეთი უტყუარი ფაქტებით შეგიმკობს, თითქოს თავად ღებულობდეს მონაწილეობას მის მშენებლობაში, მისი საძირკვლის გათხრაში, თითქოს თავად იყოს ის კირითხურო ვინაც ააგო და თავად იყოს ის განმარტოებული ბერი, რომელიც ამ სენაკშეფარებული ლოცულობდა ჩვენთვის.

არცაა გასაკვირი, რომ გელა ქოქიაშვილს შეექმნა ასეთი ლამაზი ისტორიული პოემა, რომელიც უკვე მერამდენედ გადავიკითხე და გავბედე, თქვენც დამეინტერესებინეთ, ჩემო მკითხველო და განმეწყვეთ მის დაგემოვნებაში. **„დავდიოდი არმაზციხეში (იგივე არმოზიკე და ზაგინეთ), არმაზისხევში, კარსნის ქედზე (მთაქართლი) და კიდევ მრავალგან, რათა თანამედროვეობას გავქცეოდი და შორეულ წინაპართა სახლში გადავბარგებულიყავი. თავდაპირველად ერთი მოზრდილი ლექსი დავწერე, მაგრამ მეორე დღით იგი უფრო გაიზარდა და ა. შ. კალამი და გონება უფრო მეტს მოითხოვდნენ, არ მასვენებდნენ...“,** – ასე შეიქმნა „ფარსმან ქველი“. შეიქმნა თითქმის მეოთხედი საუკუნის წინათ, გამოქვეყნება არც უფიქრია, მაგრამ ფილმად მაინც გადაიღო. უფროს თაობას ემახსოვრება კიდეც **არჩილ გოგელიასა** და **გია პაპუაშვილის** რედაქტორობითა და ზენონ კაციას რეჟისორობით გადაღებული ეს ანტიკური ისტორია, სადაც ტექსტებს კითხულობენ და ეკრანსაც ამშვენებენ ჩვენი საყვარელი მსახიობები, ქართული დეკლამაციის დიდოსტატები **ზინაიდა კვერენჩხილაძე** და **ზაზა ბაწელაშვილი**, რომლებიც ისტორიული ხანის შესაფერი მორთულობით მიმოდიან უფლისციხის კომპლექსში და კითხულობენ უძველეს ქართველთა ისტორიას, რომელიც გელა ქოქიაშვილმა შექმნა. **„ერთი-ორ დადებითი რეცენზიას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, პრემიერას დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია; ამის ერთ-ერთი მიზეზი ფილმის უჩვეულო ფორმა და კიდევ უფრო მეტად – ქართულ ანტიკურ ისტორიას შეუგუებელი მაყურებელი გახლდათო“,** – გულახდილად ბრძანებს ავტორი და თითქოს ბრალად ამას თვლის, არადა, ამის მიზეზი მდარე, არაფრისმთქმელი, მაშინ უკვე უცხო ხილად და ახლა უკვე „გასისხლხორცებული“ იმ გადაცემების მოძალებაა, რომელიც ჩვენმა, არა მარტო ახალგაზრდობამ, არამედ უფროსი თაობის ადამიანებმაც, გაითავისეს. „რეიტინგული“ – გარყვნილება, დიდი ფულის შემომტანი და სულის დამმახინჯებელი გლობალიზაციის ნაგუშარი ნიშნებით აჭრელდა ტელევიზია და ვიღას სცალია ისტორიისთვის, თუნდაც ჩვენი ანტიკური წარსულისა და სიდიადისა.




* * *

ახლა, ისევ „ფარსმან ქველს“, მეოთხედი საუკუნის წინათ დაწერილსა და ფილმადქცეულს, ხელახლა მზის სინათლენანახ, გამომცემლობა „სვეტის“ მიერ გამოცემული და **ლაერტი ფარეიშვილის** შესანიშნავი ესკიზებით დასურათებულს, **მიხეილ ქვლივიძის** (როგორც პირველად) რედაქტორობით გამოცემულ წიგნს მივუბრუნდეთ და ისტორიის მოყვარული ჟურნალისტის თვალით დანახული წიგნი წარვუდგინოთ ჩვენი გაზეთის მკითხველს, რომელსაც ერთი თვის წინათ (სანამ გამომცემლობა წიგნად შემოგვთავაზებდა), ავტორის ნებართვით, გვსურდა, დაგვებეჭდა, მაგრამ მოცულობის და შესაფერისი გაფორმების სირთულის, აგრეთვე გაზეთის ფორმატის გათვალისწინებით, ეს ვერ შევძელით.

**„ანტიკური ისტორიისადმი ერთგვარი წაყრუება და ინდიფერენტულობა რომ არა, მეფე ფარსმან ქველი, როგორც სახელმწიფო ლიდერი, ჩვენში განუზომელი პატივისცემითა და სიყვარულით უნდა სარგებლობდეს; და ეს არა მარტო იმიტომ, რომ იგი ევროპული (რომაული) პოლიტიკური ორიენტაციისა და ყაიდის პირველი მეფეა (ამის გამო რომის იმპერატორმა, ანტონიუს პიუსმა მას ძეგლი დაუდგა კიდეც რომში, მარსის მოედანზე), არამედ იმიტომაც, რომ ღრმად ეროვნული მოღვაწე და კავკასიური სახლის ინიციატორია“,** – ბრძანებს ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში. დღევანდელი საქართველოს ყოფა, წვეთი წყალივით წააგავს ოცი საუკუნის წინანდელი ანტიკური საქართველოს ყოფას. როგორ, რანაირად და რა გზით მივაღწევთ საწადელს? როგორ გადაწყვიტეს ჩვენმა წინაპრებმა ეს დილემა? რისთვის სჭირდებოდა უძლეველ რომის იმპერიას ათასობით კილომეტრის იქით მდებარე იბერთა ტომი? განა ყველას უდგამენ მსოფლიოო მბრძანებლები ომის ღმერთის ველზე ოქროს ქანდაკს?

**იქნებ ანტიკური ხანის ისტორიის გაკვეთილებიდან გავაკეთოთ დასკვნები, ქართველებო!**

მთელი პოემა სწორედ ამ ხაზით მიდის. მოქმედი გმირები, გარდა რამდენიმე პერსონაჟისა (კერძოდ, დიდი ქურუმი ბერშუბი და მხედრიონის მეთაური გელა პანკისელი, რომლებიც ავტორის წარმოსახვის ნაყოფია) ისტორიული პირები არიან – ფარსმან ქველი, დედოფალი ღადანი, სპასპეტი ფარნავაზი, სერაფიტა, მამამისი ზევახი, იოდმანგანი და მამამისი აგრიპა, მირდატი, რომის იმპერატორები ადრიანე და ანტონიუს პიუსი, პართიის მეფე ვალჰაზი, კაპადოკიის მმართველი არიანე. ხოლო ისტორიული წიაღსვლები იმ რეალური ფაქტების ანარეკლია, რომლებიც შუმერის, აშურის, აქადის, პართიის, ურარტუს, ბაბილონის, ხეთის თავგადასავლებითაა ცნობილი.

საინტერესო პასაჟია ლეგენდარული სერაფიტას დიდი ყურადღება და გატაცება ახალი რელიგიის, ქრისტიანობის მიმართ. მართალია, ეს ავტორის მეტად საყურადსაღებო მიგნება-სურვილია, მაგრამ ისტორიულად დამტკიცებულია და არქეოლოგიური გათხრებიც მოწმობს, რომ სწორედ II საუკუნეში, პირველი ქრისტიანული თემი საქართველოს ძველ დედაქალაქში, მცხეთაში ჩამოყალიბდა, მაცხოვრის კვართიც ხომ საქართველოს უძველეს დედაქალაქშია. თავად სერაფიტასა და ფარსმან ქველის დიდებულების შესახებ კი არმაზისხევში ნაპოვნი „არმაზის ბილინგვის“ წარწერები მოწმობს.

მეტად საყურადღებოა ისიც, რომ პოემაში მრავლადაა გამოყენებული უძველესი ქართული სიტყვები, რომლებიც თავისებურ ხიბლს მატებენ ლექსთაწყობას და გამართლებულია იმითაც, რომ II საუკუნის ისტორია თანამედროვე ენას ვერ აიტანდა. სწორედ ამიტომაა, რომ **„მკითხველი მშრალი სიტყვიერების ზღვიდან მჩქეფარე და კრიალა მდინარის სათავეებში გადადის“,** ეს კი მართლაც აუცილებელია პოეზიის ელვარებისთვის.

საოცარი ეპითეტებითაა დახატული პოემის ყველა გმირი.

**„ოცდაერთი წლის წავიდა**
**ეს ვაების ვაება**
**და ქართლს შერჩა ქალის სახით**
**სერაფიტას ღვთაება“.**

ეს სერაფიტაა, ზევახის ულამაზესი ასული, ანტიკური ქართლის რეალური პიროვნება.

**„ყურნი აპყრეს კვალად ბერშუბს,**
**ქურუმს –**
**ციხეს უქონგუროს,**
**უნათებდა ვერცხლი თერთ შუბლს,**
**ბჭეც იყო და**
**კირითხუროც...“**

ეს დიდქურუმი ბერშუბია, პოემის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ბრძენი, ფარსმან ქველის უერთგულესი მრჩეველი, ავტორის წარმოსახვის ნაყოფი (ჩემი აზრით, ეს ორი არარეალური გმირი დიდქურუმი და მხედრიონელი გელა(!) პანკისელი, თავად პოეტის მიერ ისეა დახატული, რომ ავტორის ორეულების გაერთიანებულ სახებად მიმაჩნია. იქნებ ვცდები?!).

„ფარსმან ქველის“ საგაზეთო წარდგინებას პოემის პროლოგის მცირე ამონარიდით დავასრულებ:

**„ძველი კერპის ქვასთან ვზივარ,**
**მდუმარება ტყე-ველის**
**მზარავს, ფიქრში ვიმეორებ:**
**ფარსმანქველი...**
**ფარსმანქველი...**
**სად მარხია შენი ძვლები,**
**ისტორიას**
**არ ახსოვს,**
**ეჰ, ვინ იცის, ამ ზამთარში**
**სად, რა ალაგს**
**დაგათოვს?**
**ნუღა მკითხავ, ვინ ვარ, რა ვარ:**
**ქრისტიანი?**
**წარმართი?**
**შენი სულის მოქცევავარ,**
**შენი გზების აღმართი**
**დაგადინე ზევრი ცრემლი**
**მცხეთა-არმაზ-ზაგინეთს...**
**რაც მტკიოდა,**
**წინაპარო,**
**ნეტავი თუ გამიგე?“**

* * *

**დადის თბილისის ქუჩებში არმაზის მეციხოვნე, ჟურნალისტი, ისტორიკოსი და პოეტი გელა ქოქიაშვილი, ჭაღარა თმაწვერითა და განუყრელი ხელჯოხით, უბრალო, თავისივე გამოჩუქურთმებულით (ვიკითხე ახლობლებში, ფეხი ხომ არ აწუხებს-მეთქი, ვიცოდი მისი თავგადაკლული სიყვარული ტყე-ღრე ხეტიალისა.** არაო – ჩაეღიმათ, ტყეში მოძებნა, თავადვე გამოთალა და ისე შეეჩვია, არ იცილებსო), დადის ჩაფიქრებული, დიდი ქურუმი ბერშუბივით, ფიქრით კვლავ არმოზიკე – ზაგინეთს დასტრიალებს, ეძებს ფარსმანის საფლავს, ეძებს თავის პროტოტიპს, დიდ მოძღვარს –

**„ვერსად ნახეს დიდქურუმი,**
**ბერშუბ ღმერთმა დამალა**
**ერთ წელს უქმად დაეძებდა**
**მას მირდატის ამალა“.**

ფიქრებიდან თუ გამოიყვან, უცებ მიწაზე დაეშვება, თვალები აუელვარდება, ულვაშებში ჩაიცინებს, ყოველდღიურობას დაუბრუნდება, ოცი საუკუნის წინანდელი იბერიიდან, დღევანდელ, არანაკლებ ორომტრიალში გახვეულ საქართველოს დაუბრუნდება და... იცი, რამდენია დასაწერი? იცი, რამდენ რამეს ინახავს ჩვენი მადლიანი მიწა? – გიყვება საქართველოს წარსულზე და ხედავ, როგორი ამაყია, როგორი ძლიერი, როგორი მდიდარი და... მაინც გული უკვდება, ფიქრი ეძალება, რადგან **„ქართლის ციხის ნაშალს, უცხო ჩრდილი მოსდგომია“.**

**მამუკა ვაშაკიძე**

# „რაც მტკიოდა, წინაპარო, ნეტავი თუ გამიგე?“



> ფარსმან ქველი იყო კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებელი და შენმდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანით დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიშარი ვითარცა უხორცო და ყოველთა უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა, რომელ გარდაცვალებულ იყვნენ უწინარეს მისსა...
>
> ლეონტი მროველი.
>
> „ცხოვრება მეფეთა“

მოვლენის შემდეგ




# დიდი ნახტომი

**საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრები ფიბა-ს ოფიციალურ მსოფლიო რეიტინგში მთელი 10 საფეხურით დაწინაურდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფიდან გასვლა და პლანეტის 16 საუკეთესო გუნდში მოხვედრა ილიას ზუროსის გაწვრთნილ ჩვენს ანსამბლს დიდად დაუფასეს.**

საქართველოს ნაკრების აქტივში 465.9 ქულაა და ამ შედეგით მსოფლიოში 23-ე პოზიცია უკავია. ევროპის მასშტაბით კი ჩვენი გუნდი მე-14 პოზიციაზეა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრები უსწრებს თურქეთს და ხორვატეთს, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე საერთოდ ვერ გავიდნენ, მათ გარდა კი, ვუსწრებთ იაპონიას, ჩინეთს, უკრაინას, ბელგიას, ბოსნია-ჰერცეგოვინას, ისრაელსა და სხვა საკმაოდ ძლიერი ქვეყნების გუნდებს.

დიდი წინსვლა განიცადა მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფატორმა გერმანიის ნაკრებმა, რომელიც უკვე მესამეა და მხოლოდ აშშ-სა და სერბეთს ჩამორჩება. აღსანიშნავია ლატვიელთა დიდი პროგრესიც. ბალტიისპირელებმა მსოფლიოს პირველობაზე სენსაციური მე-5 შედეგი აჩვენეს, რისი წყალობითაც 22 ადგილით დაწინაურდნენ და მე-8 საფეხური უკავიათ.

**შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ისტორიაში პირველად ითამაშა და 16 საუკეთესო გუნდს შორის გასვლა შეძლო. ქართველი კალათბურთელების მორიგი მიზანი ევრობასკეტი 2025-ის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება იქნება.**

ხალიჩაზე

# ფინალიც, ლიცენზიაც

**სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც პირველ საშეჯიბრო დღეს ფინალში გავიდა გენო პეტრიაშვილი (125 კგ), რომელმაც ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვა.**




მან სასტარტო შეხვედრაში კამერუნელ ბალი სოუს იოლად, 9:3 აჯობა. მერვედფინალში ქართველმა ფალავანმა აბდულა კურბანოვი 6:5 დაამარცხა, რასაც მეოთხედფინალში პოლონელ რობერტ ბარანთან გამარჯვება (3:1) მიაყოლა. ნახევარფინალში გენომ ამერიკელი მეისონ მარკ პერისი 8:6 დაამარცხა და ფინალში გავიდა, სადაც ირანელ ამირ ჰუსეინ ზარეს შეხვდება.

გენო პეტრიაშვილმა პარიზის ოლიმპიადის ლიცენზია ფინალში გასვლით უკვე გაინაღდა და მსოფლიოს ჩემპიონობას მეოთხედ ეცდება.

61 კგ წონით კატეგორიაში შოთა ფარტენაძემ ჯერ ანდრე ბეკრენუს ბარიერი დაძლია (5:0), მეოთხედფინალში უზბეკ ჯაჰონგირმირზა ტუროზოვთან იმარჯვა (5:3), მაგრამ ნახევარფინალში აბასგაჯი მაგომედოვთან 0:10 წააგო და ხალიჩაზე ბრინჯაოს მედლისთვის გავა.

ბრძენთა თამაში

# აჭარელთა დუბლი



**რუმინეთის ქალაქ მამაიაში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა შორის, სადაც ბათუმელმა კესარია მგელაძემ 9-იდან 7,5 ქულა დააგროვა და დამაჯერებლად მოიპოვა კონტინენტური ტიტული.**

კესოს მწვრთნელები საერთაშორისო ოსტატები: ნიკოლოზ მანაგაძე და ნოდარ ლორთქიფანიძე არიან.

ასევე ბათუმელმა მარიამ ცეცხლაძემ ტურნირზე 9-იდან 7 ქულა დააგროვა და მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა. მარიამის მწვრთნელია საერთაშორისო დიდოსტატი დავით მაღალაშვილი, საჭადრაკო სკოლა კი „მომავალი ჩემპიონები" გახლავთ.

დავძენთ, რომ 8 წლამდელ გოგონათა შორის ბრინჯაოს მედალს მარიამ რეხვიაშვილი დაეუფლა.

ოვალური ბურთი

ლევან მაისაშვილი:

# „პორტუგალიისგან ყველაფერს ველით"

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა პორტუგალიასთან მატჩამდე კომენტარი გააკეთა.** როგორც მან აღნიშნა, ავსტრალიასთან დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე მუშაობენ, მაგრამ კონცენტრირებული პორტუგალიასთან მატჩზე არიან.



**„გუნდი 3 დღე დავასვენეთ და დავბრუნდით ლა როშელში, სადაც რეაბილიტაცია გაიარეს. მეორე ვარჯიში გვქონდა, დღეს ტემპი გავზარდეთ. რამდენიმე ლიმიტირებული მოთამაშე გვყავს, სერიოზული ტრავმები არ გვაქვს, თუმცა გუნდი სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს. პროცესი კარგად მიდის, სამწუხაროა, რომ პირველ მატჩში, განსაკუთრებით პირველ ტაიმში ვერ ვითამაშეთ ისე, როგორც გვინდოდა. რა თქმა უნდა, ამაზე ანალიზი გავაკეთეთ. ის შეცდომები, რაც დავუშვით გასათვალისწინებელია, მაგრამ ეს უკვე წარსულია და კონცენტრირებული ვართ მომდევნო მეტოქეზე.**

**პორტუგალიისგან ველით ყველაფერს. ძალიან კარგად იციან, რომ ყველაფერი უნდა გააკეთონ ჩვენს წინააღმდეგ, თუ რაიმეს მიღწევა უნდათ. რაგბი ევროპის ფინალში ეს სცადეს, რაც არ გამოუვიდათ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი სულ სხვაა. მთავარი ისაა, რომ ეს გუნდი აქ ჩვენთვის ემზადება და ჩვენ გვიმიზნებს. ყველაფერს გავაანალიზებთ, ვეცდებით, ჩვენი ძლიერი მხარეები დავახვედროთ და ბოლომდე კონცენტრირებულები ვართ",** – თქვა მაისაშვილმა.

კომენტარი გააკეთა **თედო აბჟანდაძემაც:**

**„პორტუგალიისთვის ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე სამიზნე ჩვენ ვართ, ბოლო ორი მატჩიდან ჩვენთან პრეტენზიები ჰქონდათ, უნდოდათ ჩვენთან გამარჯვება და ეცდებიან ჩვენს დამარცხებას. ველოდებით, რომ თამაში არიონ, არ აწყობთ დალაგებული თამაში, ჩვენ კი, საპირისპიროდ, ვეცდებით, დალაგებულად ვითამაშოთ, ისე, როგორც წინა ორი თამაში ვეთამაშეთ და მოვუგეთ",** – თქვა აბჟანდაძემ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები მეორე ტურში ისვენებს და პორტუგალიას 23 სექტემბერს დაუპირისპირდება.

ნაღვაწი

# ტიტანური ოთხთავი

**რამდენიმე დღის წინათ მონატრებულ კოლეგებთან არაოფიციალურ ვითარებაში გამართული შეხვედრა მართლაც რომ მეფური საჩუქრის მიღებით დაგვირგვინდა.**

დიახ, ოთხნაწილიან, თამამად შეიძლება ითქვას, სამამულო ფეხბურთისადმი მიძღვნილ ანთოლოგიას – ქართული ფეხბურთის საუკუნე – ძნელია რაიმე რიგითი, გაცვეთილი სათაური უწოდო. გადაუჭარბებლად თუ შევაფასებთ, ჟურნალისტთა და გულშემატკივართა სამაგიდო ნაღვაწი აუწონავი წიგნი – ბაჯაღლო გახლავთ.

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პირმშო ოთხი წლის განმავლობაში რუდუნებით იქმნებოდა პროექტის ავტორისა და რედაქტორის – გიორგი გორგოძის, მისი მოადგილის – ილია ბაზუნაშვილის, არტრედაქტორის – ზაზა ასანიშვილისა და საკმაოდ მძიმეწონოსანთა რედკოლეგიის ძალისხმევით (გიო ახვლედიანი, ოთარ გაგუა, ზაალ გიგინეიშვილი, არჩილ გოგელია, გიორგი კეკელიძე, პაატა ნაცვლიშვილი, გულბათ ტორაძე, გარუნ აკოფოვი, გოჩა კაჭარავა, ლაშა გოდუაძე, მამუკა კვარაცხელია).**




შპს ფავორიტი სტილის სტამბაში ტიტანური შრომის შედეგად დაბეჭდილი ნაწარმოების ღირსებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ქრონოლოგიურად შედგენილი კრებული სულმოუთქმელად იკითხება, დასტურად კი მხოლოდ ოთხთავის თითოეული შემადგენლის ნათლობის სახელებს შემოგთავაზებთ: ლაღი ფეხბურთის წლები (წიგნი პირველი), ოქროს ბიჭების თაობა (წიგნი მეორე), ჩვენი ფეხბურთის ზეობის ხუთწლედი (წიგნი მესამე) და გაზვიადებული მოლოდინის წლები (წიგნი მეოთხე).

მიხვდით, ალბათ – შემოქმედებითი ჯგუფი ეპოქების მიხედვით საკადრის პატივს მიაგებს ანდრო ჟორდანიას, ბორის პაიჭაძისა და ავთანდილ ღოღობერიძის თაობას, ტაშკენტის გმირებს, ნოდარ ახალკაცის გენიასა და დამოუკიდებლობააღდგენილი სამშობლოს სრულუფლებიან წარმომადგენლებს საერთაშორისო სარბიელზე.

მოკლედ, დაგვიანებული მადლობა ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტ მემატიანეთა ამქარს!

კორტზე



# ტუნისი დავამარცხეთ

**კასპში გამართულ დევისის თასის მსოფლიო ჯგუფი II-ის პირველ მატჩში საქართველომ ტუნისის ნაკრებს 3:1 მოუგო და პლეი-ოფში გავიდა.**

გუშინ საბა ფურცელაძემ მოეზ ეჩარგუი (6:1, 6:4) და ზურაბ ტყემალაძემ აზიზ დუგაზი (3:6, 7:6, 6:4) დაამარცხეს, რის შედეგადაც საქართველო 2:0 დაწინაურდა. წყვილთა თანრიგში ტუნისელებმა მოიგეს. ალექსანდრე ბაკშისა და ალექსანდრე მეტრეველის დუეტს სკანდერ მანსურიმ და აზიზ უაკამ აჯობეს (6:4, 6:7, 2:6), რის შედეგადაც, აფრიკელებმა ანგარიში შეამცირეს.

თუმცა, საბა ფურცელაძემ აზიზ დუგაზი 6:3, 6:4 დაამარცხა.

აქვე გეტყვით, რომ პლეი-ოფის მატჩები 2024 წელს გაიმართება.

გვეხმაურებიან

# „გათითოკაცება გვაოხერტიალებს“, ქართველებო, გეშინოდეთ!


„პაემანი ვერაზე“/სისხლი...
„გათითოკაცება გვაოხერტიალებს“...
გურამ საღარაძე,

**მინდა გამოვეხმაურო ლეგენდარულ ქართველ ფალავანს, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, ცნობილ პუბლიცისტს და მრავალი წიგნის ავტორს, ბატონ გურამ საღარაძეს! მან „საქართველოს რესპუბლიკის“ მე-100 ნომერში (ა.წ. 4 აგვისტო) გამოაქვეყნა ბრწყინვალე წერილი „გათითოკაცება გვაოხერტიალებს“. მასში ავტორი ლაპარაკობს თბილისზე, როგორც ძმობის, მეგობრობის, ურთიერთთანადგომისა და სიყვარულის ქალაქზე, გამორჩეულზე თავისი ეთნიკური და რელიგიური თანაცხოვრებითა და ტოლერანტობით.სწორედ ამ რელიგიურ ტოლერანტობას უმღეროდა დაუვიწყარი ბუბა კიკაბიძე; „კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა, იქ ილოცე“.**

ამასთან, წერილის ავტორი დიდ გულისტკივილს გამოხატავს იმის გამო, რომ ამ ბოლო დროს საოცრად შეიცვალა ვითარება, კერძოდ თანდათან დაიკარგა ის ადამიანური სითბო და სიყვარული, ურთიერთზრუნვა და ურთიერთთანადგომა, რომელიც თბილისს გამოარჩევდა მსოფლიოს ქალაქების აბსოლუტური უმრავლესობისგან და რომელზედაც აღფრთოვანებით წერდნენ უძველესი დროის ისტორიკოსები, მოგზაურები და მისიონერები.

ლაპარაკობს რა თბილისზე როგორც უნიკალურ ქალაქზე, ბატონი გურამი იხსენებს თბილისის ნამდვილ მეხოტბეს და მოტრფიალეს, ქომაგსა და დამცველს, მწერალს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, თბილისის საპატიო მოქალაქეს გიზო ნიშნიანიძეს,რომლის დაბადების 95 წლისთავი „შესაშური“ სიჩუმით ჩაატარა ხელისუფლებამ...

როგორც ბატონი გურამ საღარაძე ბრძანებს, ჯერ კიდევ ბატონი გიზო წუხდა ბოლო პერიოდის თბილისელთა გათითოკაცების, ურთიერთგაუცხოების შესახებ. უფრო ადრე დიდი ილია ჭავჭავაძე წუხდა ამ გათითოკაცების გამო. იგი თავის პუბლიცისტურ წერილში „ზოგიერთი რამ“, რომელიც 1876 წელს დაიბეჭდა, სწორედ ეს პრობლემა განიხილა და ამ პრობლემიდან გამოსავალი ქართველი ხალხის ერთიანობასა და ურთიერთსიყვარულში დაინახა. რაც შეეხება ბატონ გიზო ნიშნიანიძეს, მას მიაჩნდა, რომ ქართველთა გათითოკაცება შეიძლება გახდეს ერის იდენტობის „გამაოხერტიალებელი“:

**„გათითოკაცება გვაოხერტიალებს,**
**ვიცი ამ ცხოვრების მე ავან-ჩავანი,**
**რაც გაგყოფს კი არა, რაც გვაერთიანებს**
**ეს არის, ეს არის, ეს არის მთავარი!“...**

– ამბობს ბატონი გიზო ნიშნიანიძე და ბატონი გურამ საღარაძეც ეთანხმება ამ აზრს. იგი ღრმადაა დარწმუნებული, რომ ასეთი გათითოკაცება ასუსტებს ქართველ ერს, აკარგვინებს მას ეროვნულ იდენტობას, ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გრძნობას!

– დასკვნა, რომელსაც ბატონი გურამი აკეთებს და რომელსაც არ შეიძლება არ დაეთანხმო, ასეთია: თუ გვინდა ქართველობა, როგორც ერი, არ გადაშენდეს, უნდა „აღვადგინოთ ჩვენი საყვარელი თბილისის „საუკუნოვანი ტრადიციები“, გავხადოთ იგი ისეთივე თბილი, მოსიყვარულე და სტუმართმოყვარე, როგორიც ყოველთვის იყო და როგორადაც გაიცნო და შეიყვარა იგი მთელმა მსოფლიომ.

– კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ამას ვინმე შემთხვევითი კაცი კი არა, ბატონი გურამ საღარაძე წერს – უწესიერესი და უპატიოსნესი ადამიანი, საქართველოსა და თბილისის გულმხურვალე თაყვანისმცემელი, თბილისის საპატიო და სანიმუშო მოქალაქე!



**რევაზ ბალანჩივაძე,**
**პროფესორ-ემერიტუსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.**

## ნარკოდანაშაული არავის არ შერჩება!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების მომზადების ფაქტებზე, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1995 წელს დაბადებული ი.ფ., თბილისში დააკავეს.**

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, ი.ფ., გადამოწმების მიზნით შეაჩერეს, მისი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად 244 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დამატებით ამოღებულ იქნა 998.87 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება, რომლის ნაწილსაც ბრალდებული ინახავდა დაცულ საცავში, ხოლო ნაწილი განთავსებული ჰქონდა კონკრეტულ ლოკაციაზე მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

## განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის შემოტანისა და გასაღების ფაქტი აღკვეთეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) სამმართველოსა და საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა, ნარკოდანაშაულის ბრალდებით უკრაინის მოქალაქე – 1980 წელს დაბადებული ო.ო. დააკავეს,** – ამის შესახებ ინფორმაცია შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, დაკავებულს ბრალად ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღება და საქართველოში უკანონოდ შემოტანა.

„დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ყაჩაღობა წალენჯიხაში!

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, სოფელ მედანში ოჯახი გაძარცვეს. შემთხვევის დროს სახლში ოჯახის მხოლოდ ორი წევრი იმყოფებოდა. როგორც ოჯახის წევრი ამბობს, წაღებულია 17 ათასი ლარი.**

როგორც ახალი ამბების სააგენტო Newshub.ge-ს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებული გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

## უბედურ შემთხვევას ახალგაზრდა შეეწირა

**კახეთში უბედური შემთხვევის შედეგად 33 წლის კაცი გარდაიცვალა. შემთხვევა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითში, გუშინ დილით მოხდა.**

**ლევან შიშნიაშვილი მეგობართან ერთად სოფლის მიმდებარედ, მინდორში, ფრინველზე სანადიროდ იმყოფებოდა, რა დროსაც მისივე თანასოფლელს სანადირო თოფი შემთხვევით გაუვარდა, რომლის ტყვიაც თავის არეში მოხვდა. შიშნიაშვილი სიცოცხლესთან შეუთავსებელი ჭრილობებით ადგილზე გარდაიცვალა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ, რომ მომხდარიდან მალევე ერთი პირი დააკავეს და ის წინასწარი მოთავსების იზოლატორშია გადაყვანილი. მომხდარზე გამოძიება 116- ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

სამძიმარი

თენგიზ, ქეთინო, ქეთი, ნატო, ქეთინო, თეონა, ნოკა, თემურ ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ ვახტანგ ქავთარაძეს და მის ოჯახს დედის, გამორჩეული ქალბატონის

**ნორა არჩილის ასული მაჭავარიანი-ქავთარაძის**

გარდაცვალების გამო.



## შტორმმა ასეულობით ათასი ცხოველი შეიწირა

**საბერძნეთში შტორმ „დანიელის“ შედეგად 200 000-ზე მეტი ცხოველი დაიღუპა. ადგილობრივი მედიის ცნობით, –** ამის შესახებ ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლეფტერის ავგენაკისმა განაცხადა.

მისი თქმით, ბოლო მონაცემებით, დაღუპულია 61 786 თხა და ცხვარი, 19 355 ღორი, 5306 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 123 810 ფრინველი. ძლიერ წვიმებს ქვეყნის ზოგიერთ რაიონში წყალდიდობა მოჰყვა. ზოგიერთ სოფლებში სახლები თითქმის მთლიანად დაიტბორა, მოსახლეობამ კი გადარჩენა მხოლოდ სახურავებზე ასვლით შეძლო. 11 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 15-მდე გაიზრდა.

## ემბრიონი კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის გამოუყენებლად...

**ისრაელში მეცნიერებმა მინიატიურული ცოცხალი ორგანიზმი შექმნეს, რომელიც არაფრით განსხვავდება ადამიანის ემბრიონისგან განვითარების ადრეულ ეტაპებზე.**

ამისთვის ვეიცმანის ინსტიტუტის მეცნიერებს არ გამოუყენებიათ არც კვერცხუჯრედი და არც სპერმატოზოიდი – ემბრიონის მოდელი ღეროვანი უჯრედებისგან გაზარდეს. კერძოდ, გამოიყენეს 120 ასეთი უჯრედი, საჭირო პროპორციაში შეაზავეს და შემდეგ დაკვირვება დაიწყეს.

სპეციალისტების თქმით, მათ მიერ შექმნილი მოდელი გამოიყურება ისე, როგორც ჯანმრთელი ადამიანის ემბრიონი ჩასახვიდან 2 კვირის შემდეგ. ზრდის პროცესში მან ის ჰორმონებიც კი გამოიმუშავა, რომლებსაც მეცნიერები ორსულობის ტესტის ჩატარებისას იყენებენ. ორსულობაზე ჩატარებულმა ტესტმა დადებით პასუხი აჩვენა. მეცნიერები ემბრიონების მოდელებს ახალი სიცოცხლის ჩასახვის ადრეული პერიოდის ეთიკურად შესწავლის მიზნით ქმნიან. სპერმატოზოიდის მიერ კვერცხუჯრედის განაყოფიერებიდან პირველი კვირების განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს კოლოსალური მნიშვნელობა აქვს მომავალი ადამიანისთვის. მაგრამ ამ გადამწყვეტ დროს ხდება მუცლის მოშლის ფაქტების უმეტესობა და საფუძველი ეყრება მომავალი ორგანიზმის თანდაყოლილი დეფექტების ჩამოყალიბებას. ეს მოვლენები ცუდად არის შესწავლილი, ამიტომ მეცნიერები ხელოვნურ მოდელებს ქმნიან.

სპეციალისტების განმარტებით, ვეიცმანის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ მიღებული შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ექსპერიმენტის შედეგად პირველად გახდა შესაძლებელი ადამიანის ემბრიონის სრული სტრუქტურის აწყობა ღეროვანი უჯრედებისგან ლაბორატორიაში, რის შედეგადაც მეცნიერებს გაუჩნდათ შესაძლებლობა შეისწავლონ ადამიანის სხეულის ფორმირების პროცესები.

## ნარკობარონის ვაჟი აშშ-ს გადასცეს



**ნარკოგარონ „ელ ჩაპოს“ ვაჟი, ნარკოკარტელ „სინალოას“ ლიდერი ოვიდიო გუსმან-ლოპესი აშშ-ს გადაეცა,** – ამის შესახებ აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა, მერიკ გარლანდმა განაცხადა.

ნარკოკარტელის სათავეში ყოფნის გარდა, აშშ-ში ოვიდიო გუსმან-ლოპესს ასევე ბრალად ედება მომღერლის მკვლელობის დაკვეთა, მას შემდეგ რაც მომღერალმა „ელ ჩაპოს“ ვაჟის ქორწილში სიმღერაზე თქვა უარი. მერიკ გარლანდმა მადლობა გადაუხადა მექსიკის ხელისუფლებას ოვიდიო გუსმან-ლოპესის აშშ-ში ექსტრადირების საკითხში აღმოჩენილი დახმარებისთვის. ოვიდიო გუსმან-ლოპესი მექსიკასში წლეულს, იანვარში დააკავეს.



# ლიზა ბაგრატიონის სოლო კონცერტი ღია ცის ქვეშ

**14 სექტემბერს ზურა შევარდნაძის „გარდენიაში“, ღია ცის ქვეშ, სპეციალურად დამონტაჟებულ სცენაზე, გაიმართა ცნობილი მომღერლის ლიზა ბაგრატიონის სოლო კონცერტი დირიჟორ ნიკოლოზ რაჭველის მხარდაჭერით და ორგანიზებით.**

საღამოს წამყვანი თვით ლიზა ბაგრატიონი გახლდათ. მან ქართველი კომპოზიტორების ჰიტად აღიარებული სიმღერები შეასრულა. რეპერტუარში სჭარბობდა კომპოზიტორ გია ყანჩელის შედევრები. ლიზამ სცენაზე იხმო განუმეორებელი ნატო მეტონიძე და ახალგაზრდა პიანისტი და მომღერალი გიგა გიგაშვილი, რომელიც ბერლინში მოღვაწეობს.

მათ სიმღერებს, ბუნებრივია დიდი მოწონება ხვდა წილად. საღამოს დასასრულს ლიზამ მადლობა გადაუხადა კონცერტის ორგანიზატორებს, სპონსორებს და „გარდენიას“ სულისჩამდგმელს ზურა შევარდნაძეს გულთბილი მასპინძლობისთვის.

**ნანა ჭიჭინაძე**



# ციხკარაულების კოშკი ხევსურეთის დასაცავად კვლავ მწყობრშია



**ხევსურეთში რუსული ჭურვების შედეგად დაზიანებული, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის, ციხკარაულების კოშკის რეაბილიტაცია დასრულდა.**

კოშკი მძიმედ დაზიანდა რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის დროს, 2001 წელს, როდესაც რუსეთის მხრიდან ნასროლი ჭურვები მოხვდა მის ორ ფასადს. ღრმა ბზარები გაუჩინა კედლებს, დააზიანა კოშკის ღიობები და შიდა ნაწილი.

კოშკის რეაბილიტაცია 2021 წელს დაიწყო, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა და ფრანგმა მოხალისეებმა.



# იმოგზაურეთ, 15 ოქტომბრამდე ნინიკო მორბედაძის სამყაროში

**დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში მხატვარ ნინიკო მორბედაძის ყველაზე მასშტაბური პერსონალური გამოფენა გაიხსნა, რომელიც ხელოვანის შემოქმედების მიმოხილვას წარმოადგენს და 1989 წლიდან დღემდე 100-ზე მეტ ნამუშევარს მოიცავს.**

გამოფენის გახსნას მხატვრის მეგობრები და სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ნინიკო მორბედაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია გრაფიკოსის სპეციალობით. 2020 წელს საერთაშორისო აუქციონზე შედგა მხატვრის დებიუტი. ლონდონში, „ფილიპსის“ აუქციონზე, შეიძინეს მისი ტილო „დროის ფარგლებს გარეთ“. ის 2021 წელსაც წარმატებით მონაწილეობდა „ფილიპსის“ აუქციონში „XX საუკუნისა და თანამედროვე ხელოვნება“, რომელზეც გაიყიდა მისი სურათი „ზღაპარი“.

თავისი კარიერის განმავლობაში ნინიკო მორბედაძე აქტიურად მუშაობდა კინოს მხატვრად რეჟისორებთან მიხეილ კობახიძესთან, ბესარიონ გიორგობიანთან, ნოდარ მანაგაძესა და გიგა აგლაძესთან ერთად. მან იმუშავა ფილმზე „სხვა მე“. ნინიკო მორბედაძის ათი ტილო ნიუ-ჯერსის (აშშ) ზიმერლის ხელოვნების მუზეუმში, ნორტონ და ნენსი დოჯების კოლექციაშია დაცული. მისი ნამუშევრები ასევე ინახება საქართველოს, ევროპისა და აშშ-ის კერძო კოლექციებში.

# დაიანას სვიტერი - მილიონად



**აუქციონის ორგანიზატორებმა სვიტერი თავდაპირველად 50 800 დოლარად შეაფასეს, თუმცა საბოლოოდ, ის რეკორდულ ფასად გაიყიდა. მყიდველის ვინაობა უცნობია.**

წითელი სვიტერი ცხვრებით, პრინცესა დაიანას 1981 წელს ეცვა, როდესაც ის პრინც ჩარლზის საცოლე იყო.

# მაიას სახელობის საჭადრაკო სკოლა ქუთაისში



**ქუთაისის საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაციის პროექტის მიხედვით, სრულად განახლდა შენობის ინტერიერი და ექსტერიერი, შეიცვალა სახურავი, კარფანჯრები, განათების და წყალგაყვანილობის სისტემა.**

სამეცადინო და სატურნირო ოთახები მოეწყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. მოწესრიგდა სკოლის ეზო, სადაც ღია საჭადრაკო დაფა გაკეთდა. თემატურად მოიხატა შენობის ფასადის კედელი.

# ანგელოზებთან მოსაუბრე პრინცესა შამანზე თხოვდება

**ნორვეგიის პრინცესა მართა ლუიზა და მისი პარტნიორი, ამერიკელი შამანი დურეკ ვერეტი 2024 წლის ზაფხულში დაქორწინდებიან.**

ნორვეგიის მეფემ, ჰარალდ მეხუთემ წყვილს ბედნიერება უსურვა და აღნიშნა, რომ ბედნიერია, ვერეტი მის ოჯახს რომ შეუერთდება.

შარშან პრინცესამ სამეფო მოვალეობებზე უარი თქვა და ალტერნატიული მედიცინის ბიზნესით დაკავდა, რომელსაც საქმროსთან ერთად ხელმძღვანელობს. ვერეტი აცხადებს, რომ კიბო არჩევანია, კორონავირუსის პანდემიის დროს კი კოვიდის საწინააღმდეგო მედალიონებს ყიდდა. პრინცესა ლუიზა კი ამტკიცებს, რომ მას ანგელოზებთან კომუნიკაციის უნარი აქვს. წყვილის ნიშნობის შესახებ 2022 წელს გახდა ცნობილი.






# „წერილები ლიტერატურაზე“

**გამოიცა ვიქტორ რცხილაძის ახალი წიგნი – „წერილები ლიტერატურაზე“, რომელშიც განხილულია ქართველი მწერლების (ლეო ქიაჩელის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ეგნატე ნინოშვილის) ნაწარმოებები. მკითხველს უთუოდ გააოცებს, თუ რა სიღრმისეულად განიხილავს მათ ავტორი, თუ რაზე მიგვაპყრობინებს ყურადღებას, რასაც მანამდე ვერ ვამჩნევდით და რაც დამალული იყო ჩვენთვის.**

წიგნში ასევე შესულია ისტორიულ-ფილოსოფიური ხასიათის ესეები – „დემონური ადამიანი“ და „ლუარსაბ პირველი, საქართველოს ძნელბედობასთან მებრძოლი გმირი“, რომელთაგან პირველი ყრუანტელის მომგვრელია, ხოლო მეორე – აღფრთოვანებისა და მწუხარების.

**წიგნი მთავრდება წერილით: „წარმართობა ქართულ ლიტარატურაში“, რომელიც ნაწილობრივ ეხმაურება ჩვენში დამკვიდრებულ „ახალ წარმართობას“ მისი წამლეკავი უზნეობით...**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04
ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 20 სექტემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6333; ევრო - 2.8076;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2695;
100 რუბლი - 2.7321; თურქული ლირა - 0.0976;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5479;
1000 სომხური დრამი - 6.8185

**ამინდი 18 სექტემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +10, | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე +21 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე +26 |
| თბილისი: | ღამე | +14, | დღე +23 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge